

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მარიამ ნემსაძე

სავალდებულო წილთან დაკავშირებული პრობლემები
მემკვიდრეობით სამართალში

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალექსანდრე იოსელიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - სავალდებულო წილის ცნება და მნიშვნელობა, ის პრობლემური საკითხები, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს სავალდებულო წილის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, თუმცა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებენ ნორმის სახით ჩამოყალიბებას.

დაბალი სამართლებრივი ცნობიერების გამო, საზოგადოების უმრავლესობამ არ იცის თუ რას გულისხმობს სავალდებულო წილი, მაშინ როდესაც, მემკვიდრეობასთან ასე თუ ისე ყველა ჩვენგანს აქვს შეხება. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ საკითხის შესწავლა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამორკვევა.

სავალდებულო წილი, არის მემკვიდრეობითი სამართლის ინსტიტუტი, რომელიც მიმართულია ისეთი მემკვიდრის დაცვისაკენ, რომელიც მამკვიდრებელმა არ გაითვალისწინა ანდერძში და მემკვიდრეობის გარეშე დატოვა.

სამაგისტრო ნაშრომში გადმოცემულია, თუ რას გულისხმობს სავალდებულო წილი, გამოყავი მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და განვსაზღვრე პრაქტიკული და სამართლებრივი რეკომენდაციები.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია, სავალდებულო წილის ინსტიტუტის არსი, რამდენად დაცულია მემკვიდრეობის ინტერესები ან რამდენად იზღუდება მამკვიდრებლის სურვილი, განკარგოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

Problems related to obligatory share in hereditary law

Annotation

The master's thesis presents the concept and importance of obligatory share - one of the most important institutions of hereditary law and the problematic issues that are related to it.

Georgia's civil legislation is familiar with the legal norms regulating the obligatory share, but there are some issues that need to be formulated as a norm.

Because of low legal awareness, most of the people do not know what the obligatory share means, while all of us are in touch with legacy. So I consider to study this issue and to find out the problems that are related to it important.

The obligatory share is the Institute of hereditary law aimed at the protection of the heir who was not taken into account in the will by the testator and was left without an inheritance.

The Master's thesis Describes what the obligatory share means, I also identify problematic issues related to it and determine practical and legal recommendations.

Accordingly, the paper deals with the essence of the institution of obligatory share, whether the interests of the heirs are protected or whether the testator's desire is restricted to dispose of the property.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. სავალდებულო წილი.....	9
1.1. სავალდებულო წილის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა.....	9
1.2. სავალდებულო წილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით.....	13
1.3. სავალდებულო წილი დღეს მოქმედი კანონმდებლობით	17
თავი II. სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მოქმედი კანონმდებლობით.	29
2.1. ანდერძის თავისუფლების პრინციპისა და სავალდებულო წილის ურთიერთმიმართება.....	29
2.2. უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.....	34
2.3. სავალდებულო წილთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები..	40
თავი III. სავალდებულო წილი უცხოურ სამართალში.....	49
დასკვნა.....	57
გამოყენებული ლიტერატურა:.....	60

შესავალი

მემკვიდრეობით სამართალს სამართლებრივ სივრცეში დიდი როლი ენიჭება. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დგება საკითხი მისი ქონების მემკვიდრეთა შორის განაწილების შესახებ. ხშირად არსებობს დავა იმაზე, თუ მემკვიდრეობის რა ნაწილი ეკუთვნის ამა თუ იმ პირს სამკვიდროდან ან ეკუთვნის თუ არა საერთოდ.

ხსენებული დავების არსებობისას საქმე უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს გადაეცემა, სადაც დავა მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად წყდება. არის შემთხვევები, როდესაც მთელს მემკვიდრეობას ანდერძის თანახმად, იღებს ისეთი პირი, რომელიც არ არის მამკვიდრებლის მშობელი, შვილი ან მეუღლე და ამით ხსენებული პირები რჩებიან მემკვიდრეობის გარეშე. სწორედ, ასეთი მემკვიდრეებისათვის მემკვიდრეობის უფლების უსამართლოდ ჩამორთმევის პრევენციას ემსახურება სავალდებულო წილის ინსტიტუტი.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონი არ არის უხარვეზო, მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელ ნორმებშიც გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ასევე გვხვდება ნორმები, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ, ვინაიდან რთულია მათი მხოლოდ კანონის შესწავლის გზით გაგება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს მემკვიდრეობით სამართალში სავალდებულო წილის ინსტიტუტის შესწავლა და არსებული პრობლემური საკითხების გამორკვევა. სავალდებულო წილთან დაკავშირებით დამუშავებული და განხილული იქნება სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. გამოკვლეული იქნება სავალდებულო წილთან დაკავშირებული პრაქტიკაში არსებული სირთულეები და მისი სამართლებრივი შედეგები.

მამკვიდრებლის ანუ გარდაცვლილი პირის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი. საზოგადოების დაბალი სამართლებრივი ცნობიერებისა და ნაკლებად

ინფორმირებულობის გამო, მათ წარმოდგენაც არა აქვთ თუ რას ნიშნავს სავალდებულო წილი და რომ მათ გააჩნიათ სამკვიდროდან მისი მოთხოვნის უფლება. სწორედ რომ ასეთი არაინფორმირებულობა ქმნის შემდგომ პრობლემებს.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია სამოქალაქო კოდექსის, არსებული იურიდიული ლიტერატურის, სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რათა ყოველმხრივ გამოკვლეულ იქნას სავალდებულო წილის ინსტიტუტი. გამოიკვეთოს სავალდებულო წილთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რათა დაისახოს და შემუშავდეს მათი აღმოფხვრისა და გამოყენების რეკომენდაციები.

მემკვიდრეები სამკვიდროდან თავიანთი წილის მიღებისას ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს, ერთ-ერთი ასეთი სავალდებულო წილს უკავშირდება. სავალდებულო წილთან დაკავშირებული დავების სიმრავლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ აღნიშნული საკითხის აქტუალურობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სავალდებულო წილთან დაკავშირებული საკითხები ნაწილობრივ მოწესრიგებულია, თუმცა არ არის სრულიად ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი არის შესწავლილი, მათ შორის, არსებობს რეკომენდაციები, საკითხი დღესდღეობით კვლავაც აქტუალურია და დღემდე წარმოადგენს მრავალმხრივი დისკუსიის საგანს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებში. აღნიშნული საკითხისადმი მაღალი ინტერესი ზრდის ნაშრომის შესწავლის საკითხის აქტუალურობას.

ნაშრომში განხილული იქნება სავალდებულო წილთან დაკავშირებული ისტორიული წინამძღვრები და მიმოხილული იქნება აღნიშნული ცნების მნიშვნელობა ქართულ კანონმდებლობაში.

სამაგისტრო ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება სავალდებულო წილთან დაკავშირებული ისტორიული საკითხები, ასევე შევეხები საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსს, განვიხილავ საქართველოს სამოქალაქო სამართლის პრინციპებსა და სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე მემკვიდრის მიერ

სავალდებულო წილის მიღების წესს, სავალდებულო წილის ინსტიტუტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განხილული იქნება მემკვიდრეობის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის ანდერძის თავისუფლების პრინციპის ურთიერთმიმართება სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან. იზღუდება თუ არა ანდერძის თავისუფლების პრინციპი მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს სავალდებულო წილის ინსტიტუტი?! სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება წარმოადგენს კანონით მემკვიდრეობის წმინდა ფორმას თუ პირიქით, ანდერძით მემკვიდრეობის ფორმაა?!

სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევასა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იწვევს თუ არა მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ავტომატურად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების დაკარგვას?!

ნაშრომში განხილული იქნება უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხი. ასევე, ანდერძის მეშვეობით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ერთი, რამოდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეისათვის ნიშნავს თუ არა მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევას?!

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადსამეცნიერო მეთოდები. კვლევაში გამოყენებული იქნება ისტორიული, ნორმატიული, ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები. ნორმატიული მეთოდების საშუალებით გაანალიზებულ იქნება სავალდებულო წილის ნორმათა ადგილი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მნიშვნელობა ქართულ სამართალში, მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. სავალდებულო წილის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში მოცემული რეგულაციების ანალიზის საფუძველზე განმარტებულ იქნება სავალდებულო წილის ინსტიტუტის სამართლებრივი ხარვეზები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება შედარებითი მეთოდი ევროპული ქვეყნების კერძო სამართალთან მიმართებით. სამაგისტრო ნაშრომში სავალდებულო წილის ინსტიტუტთან

არსებული პრობლემური საკითხების შესწავლისას ყურადღება დაეთმობა სასამართლო პრაქტიკას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება 65 გვერდისაგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება ანოტაციისაგან, შესავლისაგან, 3 თავისაგან, 6 ქვეთავისაგან და დასკვნისაგან.

თავი I. სავალდებულო წილი

1.1. სავალდებულო წილის ინსტიტუტის ისტორიული

მიმოხილვა

მემკვიდრეობის ცნება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სახელმწიფო და სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე გაჩნდა.

“საერთოდ მემკვიდრეობის სამართალმა ისტორიულად განვლო სამი ძირითადი ეტაპი. თავდაპირველად მემკვიდრეთა წრეს მთელი გვარი შეადგენდა. გვარის კუთვნილი ქონება გვარის გარეშე ვერ გავიდოდა. განვითარების შემდგომ ეტაპზე გვარს გამოეყოფა ე.წ. „დიდი ოჯახი“ და მემკვიდრეობაც ამ დიდი ოჯახის წევრების წრეში ტრიალებს. დასასრულ ე.წ. „დიდი ოჯახი“, ანუ საოჯახო თემა იშლება მარტივ მონოგამიურ, წვრილ ოჯახებად და მემკვიდრეთა წრესაც ძირითადად ამ ოჯახის წევრები შეადგენენ”.¹

ძველი რომის სამართალმაც მეტ ნაკლებად გაიარა განვითარების ზემოთ აღნიშნული ეტაპები. თანდათანობით კი სამართალი ნებას რთავს კერძო მესაკუთრეს თავისუფლად გაასხვისოს თავისი ქონება. ამით წარმოიშობა საანდერძო განკარგულება, ანდერძის ინსტიტუტი.

„პირველი რიგის პრეტორულ მემკვიდრეებს, თუ მათზე არაფერი იყო ნათქვამი ანდერძში, შეეძლოთ პრეტენზია განეცხადებინათ მემკვიდრეობაზე ანდერძის საწინააღმდეგოდ, და მიეღოთ ის წილი, რომელიც მათ ერგებოდათ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში. მაშასადამე, პრეტორული სამართლის მიხედვით, მამკვიდრებელი ვალდებული იყო ან უშუალოდ მიეთითებინა ანდერძში თავის შვილებზე, როგორც მემკვიდრეებზე, ან აღენიშნა შვილებისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. ამგვარი მითითებების არარსებობის შემთხვევაში ანდერძი არ ბათილდებოდა (მაგალითად, ძალაში რჩემოდა მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა და

¹ ო.ოფფე; გ. ნადარეიშვილი; რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბილისი 1994, გვ. 202.

სხვადასხვა საანდერძო განკარგულება), ამიტომაც აქ ლაპარაკია მემკვიდრეობაზე ანდერძის საწინააღმდეგოდ, და არა მემკვიდრეობაზე ანდერძის გარეშე“.²

სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირებს, შეეძლოთ სასამართლოში გაესაჩივრებინათ ანდერძი, იმ საფუძველით, რომ მოანდერძემ არ შეარულა თავისი მორალური ვალი მათ წინაშე.

სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება არ გააჩნდათ პირებს, რომლებმაც ანდერძით მიიღეს რაიმე, მაგალითად საანდერძო დანაკისრის არსებობისას.

“რომის სამართალმა ფეოდალურ ევროპას მემკვიდრეობით დაუტოვა ანდერძის თავისუფლების სამართლებრივი იდეა, რომელიც თავდაპირველად გაუგებარი იყო ადრეფეოდალური ხანის ევროპისთვის, მაგრამ ეკლესიის ზეგავლენით თანდათან სათანადო ადგილს იკავებს შუა საუკუნეების სამართალშიც კი, რომელიც პრინციპულად კანონით მემკვიდრეობის უპირატესობას აღიარებდა.

ძველი რომის მემკვიდრეობითი სამართალი იყო იმ იურიდიული ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომელიც ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლის რიგს აწესრიგებდა გარდაცვლილი პირიდან მის უფლებამონაცვლეზე“.³

მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება უპირველესად მისი ოჯახის წევრების ხელში ხვდებოდა.

თორმეტი ტაბულის კანონებში ვხვდებით ანდერძის თავისუფლების პრინციპს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის საოჯახო საკუთრების გადმონაშთებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული. ანდერძის თავისუფლება სამართალგანვითარების შედარებით მაღალ საფეხურებზე ჩნდება.⁴

რესპუბლიკის მიწურულს და იმპერიის ხანის დასაწყისში თავს იჩენს აუცილებელი მემკვიდრეობის, აუცილებელი სამკვიდრო წილის ინსტიტუტი. იმპერიის ხანაში კიდევ უფრო იზრდება ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტი.

² Д.В.Дождев, Римское частное право, М., 1996, Стр.591.

³ ო.იოფე; გ. ნადარეიშვილი; რომის სამოქალაქო სამართლის საფუძველები, თბილისი 1994, გვ. 203.

⁴ იქვე. გვ. 206.

“საქართველოში უკვე ადრე ფეოდალიზმის ეპოქიდან ცნობილი იყო ანდერძით მემკვიდრეობაც. როგორც ჩანს, მშობლებს ასე თუ ისე შეეძლოთ მათი ნება-სურვილისადმი ურჩი პირდაპირი მემკვიდრეები - შვილები „მონაგების“ მონაწილედ არ გაეხადათ. საქართველოში XI საუკუნეში ისეთი შეხედულებაც კი არსებობდა, რომ მამის კანონიერი მემკვიდრე მხოლოდ ის შვილია, რომელიც მისი ნებისმყოფელია, ე.ი. მის ნების აღმასრულებელია“.⁵

ის რომ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა ე.წ. ანდერძით მემკვიდრეობა, არ ნიშნავს იმას, რომ არსებობდა ანდერძის შეუზღუდავი თავისუფლება, ანერძით მემკვიდრეობა, როგორც წესი, იზღუდებოდა კანონით მემკვიდრეობით.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მოანდერძეს უფლება აქვს მხოლოდ თავისი „ალალი საქონელი“ და „ნასყიდი“ გასცეს ანდერძით. ანერძის დამტოვებელი უნდა ითვალისწინებდეს მემკვიდრეების ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული ანდერძის შესრულება.⁶

„სავალდებულო წილის ინსტიტუტმა მემკვიდრეობის სამართალში გარკვეული გზა განვლო, რომელიც სხვადასხვა პერიოდში (ფეოდალურ, სოციალისტურ) სხვადასხვა წესით რეგულირდებოდა. რომის სამართლის პერიოდში სავალდებულო წილის, მიღების უფლება ჰქონდათ აგნატებს, ემანსიპირებულ შვილებსა და სხვა მემკვიდრეებს აღმავალი და დაღმავალი ხაზით, ასევე მოანდერძის ღვიძლ ძმებსა და დებს“.⁷

ზემოთ ნახსენებ პირებს სავალდებულო წილის მიღების უფლება უნარჩუნდებოდათ მაშინ თუ ნაანდერძევი ქონება უნდა მიეღოთ უფრო შორეულ მემკვიდრეებს.

„ამ პერიოდისათვის სავალდებულო წილის ოდენობა შეადგენდა იმ ქონების მეოთხედ ნაწილს რასაც პირი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა. შემდგომ კი სავალდებულო წილის ოდენობა დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რამდენი კანონით მემკვიდრე ჰყავდა მამკვიდრებელს.

⁵ გ.ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი 1996, გვ. 153.

⁶ იქვე. გვ. 153.

⁷ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ. 124.

მაგალითი:

თუ კანონით მემკვიდრეობისას პირი მიიღებდა ქონების არანაკლებ $\frac{1}{4}$, მაშინ მისი სავალდებულო წილი ედრებოდა კანონით მემკვიდრეობის დროს განსაზღვრული წილის $\frac{1}{3}$, ხოლო თუ კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრე მიიღებდა ქონების $\frac{1}{4}$ -ზე ნაკლებს, მაშინ მისი სავალდებულო წილი ედრებოდა ქონების $\frac{1}{2}$ (იუსტინიანეს 112 ნოველა). მოანდერძე უფლებამოსილი იყო ჩამოერთვა მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგალითად, ქალიშვილის ამორალური ცხოვრების წესი ან მისი გათხოვება მშობლების ნების საწინააღმდეგოდ). საბჭოთა კავშირის არსებობისას, იყო დრო, როდესაც სავალდებულო წილის ოდენობას უნდა შეედგინა $\frac{3}{4}$ მაინც ამ წილისა, რომელიც ეკუთვნოდათ კანონისმიერ მემკვიდრეებს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულებით, „კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შესახებ“, შრომისუუნარო მემკვიდრის სავალდებულო წილის ოდენობა გაიზარდა იმ წილის სრულ ოდენობამდე, რაც მას ერგებოდა როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს. შემდგომში, კერძოდ, 1964 წელს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლით შეიცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტთა შემადგენლობა და თვით სავალდებულო წილის მოცულობაც. კერძოდ, ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, კვლავ შეცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტთა წრე და განსაზღვრა, რომ პირველი რიგის მემკვიდრეებს (მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს), ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა“.⁸

⁸ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ. 125.

1.2. სავალდებულო წილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-2 მუხლით დადგენილია, რომ სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან და არაშრომისუნარიან შვილებს, მათ შორის შვილობილებს, აგრეთვე, გარდაცვლილის არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებს, მშვილებლებს და მის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ანდერძი, ეკუთვნით სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ - სავალდებულო წილი.⁹ აღნიშნული პირების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, კანონი ადგენს, რომ არ შეიძლება მათ მთლიანად ჩამოერთვათ მემკვიდრეობა.

მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი არაშრომისუნარიანი პირები შეიძლება მიეკუთვნონ სავალდებულო მემკვიდრეებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამკვიდროს დამტოვებლის სრულ რჩენაზე იმყოფებიან არანაკლებ ერთი წლისა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე, ან ამ დროის განმავლობაში იღებდნენ ისეთ დახმარებას, რომელიც მათთვის არსებობის ძირითადი და მუდმივი წყარო იყო. სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება არ აქვს პირს, რომელიც სამკვიდროს გახსნის შემდეგ გახდა არაშრომისუნარიანი.¹⁰

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, სავალდებულო წილი არ შეიძლება გადა ყოფილიყო იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც აღნიშნულ პირებს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ეკუთვნოდათ. ამასთან დაკავშირებით ჩნდება საკითხი, შესაძლებელია თუ არა მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფ მემკვიდრეს, რომელსაც ანდერძით ჩამოერთმევა მემკვიდრეობა ან საერთოდ ანდერძში არ იყო მოხსენიებული, გამოეყოს მისი კანონისმიერი წილის ორ მესამედზე მეტი. ლიტერატურაშიც და პრაქტიკაშიც ამ საკითხზე პასუხი უარყოფითი იყო.

⁹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 547.

¹⁰ ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1997, გვ. 65.

იურიდიულ ლიტერატურაში დგას საკითხი, თუ რომელი სახის მემკვიდრეობას მიეკუთვნება სავალდებულო წილის მემკვიდრეობა. არის ეს კანონისმიერი მემკვიდრეობა თუ ანდერძისმიერი?! ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, სწორად მსჯელობს ტ. დ. ჩეპიგა, რომელიც მიიჩნევს, რომ „სავალდებულო წილის მემკვიდრეობა არ წარმოადგენს კანონისმიერი მემკვიდრეობის წმინდა ფორმას, რამდენადაც მისი საკითხი არ დადგება, თუ არ იარსებებს ანდერძი“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობა შესაძლებელია შეიცვალოს ანდერძით, სავალდებულო მემკვიდრეობა კი არა. თუმცა, ის ასევე არ წარმოადგენს მემკვიდრეობას ანდერძით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის არის მემკვიდრეობა ანდერძის საწინააღმდეგოდ, რამდენადაც ანდერძის შინაარსისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება.¹¹

სავალდებულო წილი წარმოადგენს არა მხოლოდ ნაანდერძევი ქონების ნაწილს, არამედ მთელ სამკვიდრო ქონებას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლი მიუთითებს, რომ სავალდებულო წილი გამოითვლება კანონიერი წილიდან. კანონიერი წილი კი წარმოადგენს მთელ სამკვიდრო ქონებას.

სავალდებულო წილის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი მემკვიდრეა. სავალდებულო წილის განსაზღვრისას, კანონისმიერ მემკვიდრეთა რიცხვში ითვლებიან ის პირებიც, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის უფლება. თუკი ანდერძი ეხება მთელს სამკვიდრო ქონებას და არ ითვალისწინებს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირებს, მაშინ ასეთი ანდერძი ნაწილობრივ იქნება ბათილი. ანდერძის შესრულება შესაძლებელია იმ ნაწილში, რაც დარჩება სავალდებულო წილის გამორიცხვის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუკი ანდერძი ეხება მხოლოდ ქონების ნაწილს, სავალდებულო წილი განისაზღვრება სამკვიდრო ქონების მთელი ღირებულებიდან, თუმცა, სავალდებულო წილი მემკვიდრეს მიეცემა იმ ქონებიდან რომელიც არ შესულა ანდერძში. ხოლო თუ ეს ქონება საკმარისი არ

¹¹ ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1997, გვ. 65.

იქნება, მაშინ სავალდებულო წილი შეივსება იმ ქონებიდან, რომელსაც ითვალისწინებდა ანდერძი.¹²

მემკვიდრეს, უფლება აქვს, უარი თქვას სავალდებულო წილის მიღებაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო წილზე უარის თქმა, სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, არ დაიშვება.

ანდერძი შეიძლება შეეხოს როგორც მთელ სამკვიდროს ისე მის ნაწილს. სამკვიდროს დამტოვებელს შეუძლია ზუსტად მიუთითოს ანდერძში თუ რომელ მემკვიდრეს რა საგანი და წილი ერგება. შეუძლია ზუსტად გააკეთოს მითითება ან ზოგადად შემოიფარგლოს. მაგალითად, მოანდერძეს შეუძლია ანდერძში ჩაწეროს რომ მთელ თავის ქონებას უანდერძებს მის შვილს. იმ შეთხვევაში, როცა ანდერძი რამოდენიმე პირს ეხება, შეუძლია მიუთითოს, რომ ანდერძის 1/3 ეკუთვნის შვილს, 1/4 დედას და ა.შ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეულ მემკვიდრეზე არ არის მითითება გაკეთებული ვის რა წილი ეკუთვნის, მათ შორის ქონება გადანაწილდება თანაბრად.

როგორც ვიცით, მემკვიდრეობას თან ახლავს როგორც აქტივები, ისე პასივები, ამიტომ საჭიროა შევხვით იმასაც, როგორ რეგულირდებოდა მემკვიდრეობით დატოვებული ვალების საკითხი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე მუხლის III ნწილის თანახმად, ანდერძში შეიძლება მითითებულ იქნას იმაზე, მემკვიდრეებიდან რომელმა უნდა გადაიხაროს და რა ფარგლებში სამკვიდროს დამტოვებლის ვალები.

„ქონების ნაწილი, რომელსაც ანდერძი არ შეხება, ნაწილდება კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის. ამ მემკვიდრეთა რიცხვს ეკუთვნის ის კანონისმიერი მემკვიდრეებიც, რომლებსაც ეანდერძათ ქონების დანარჩენი ნაწილი, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული/საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე მუხლის IV ნწილი/. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ერთ-ერთმა კანონისმიერმა მემკვიდრემ ანდერძით მიიღო ქონების ნაწილი, დანარჩენი ნაწილი განაწილდება კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის რომელთა რიცხვში შევა ანდერძისმიერი მემკვიდრეც.

¹² ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1997, გვ. 67.

მაგალითი:

თუ კანონისმიერი მემკვიდრეები სამნი არიან, რომელთაგან ერთმა სამკვიდრო ქონების ნახევრი ანდერძით მიიღო, ეს უკანასკნელი ქონების მეორე ნახევრის ერთ მესამედსაც მიიღებს. მდგომარეობა შეიცვლება თუ ანდერძით გათვალისწინებულ იქნება, რომ ქონების ანდერძით გაუთვალისწინებელი ნაწილი უნდა განაწილდეს მხოლოდ სხვა დანარჩენ კანონისმიერ მემკვიდრეებზე. ამ შემთხვევაში მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო ქონების ნაწილი, დანარჩენი ნაწილიდან წილს ვერ მიიღებს¹³.

მოანდერძეს, იმის გარდა, რომ უფლება აქვს განსაზღვროს მემკვიდრეების წრე და გაანაწილოს მათ შორის ქონება, ასევე, შეუძლია ანდერძში შეიტანოს განსაკუთრებული განკარგულებები. მაგალითად, მოანდერძეს უფლება აქვს დანიშნოს მემკვიდრის მემკვიდრე, ანუ სათადარიო მემკვიდრე. მას შეუძლია ასეთი პირი დანიშნოს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ისე სვა გარეშე პირი, რომელზეც გადავა სამკვიდრო იმ შემთხვევისთვის, თუ მის მიერ დანიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება ან სამკვიდროს მიღებაზე უარს განაცხადებს.¹⁴

მემკვიდრის მემკვიდრედ დანიშვნას ლიტერატურაში სუბსტიტუციას უწოდებენ, ხოლო ასეთ მემკვიდრეებს - სუბსტიტუტებს.

იმ შემთხვევაში, თუკი ძირითადი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, სათადარიგო მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება არ წარმოეშობა. ძირითადი მემკვიდრის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნის შემდეგ მაგრამ ჯერ კიდევ სამკვიდროს მიღებამდე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სამკვიდროს მიუღებლობა. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდროს მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მისი მემკვიდრეები არ ისარგებლებენ ამ უფლებით, მაშინ ისარგებლებს სამკვიდროს მიღების უფლებით სათადარიგო მემკვიდრე.

¹³ ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1997, გვ. 69.

¹⁴ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 548-ე მუხლი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი სავალდებულო წილის მქონე პირთა წრეში მოაზრებდა მხოლოდ არაშრომისუუნარო პირებსა და არასრულწლოვან შვილებს. სხვა შემთხვევაში იგი არ უშვებდა სავალდებულო წილის მიღებას. ასევე განსხვავებულად იყო დარეგულირებული სავალდებულო წილის ოდენობა და მოცულობა.

1.3. სავალდებულო წილი დღეს მოქმედი კანონმდებლობით

ანდერძის თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი აბსოლიტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ შეიძლება ჰქონდეს უფლება, მთელი თავისი ქონება გაანაწილოს ანდერძით მემკვიდრეთა შორის და ამით მემკვიდრეობის გარეშე დატოვოს მისი ოჯახის წევრები. ქონების განსაზღვრული ნაწილი საჭიროა რჩებოდეს ანდერძს მიღმა და გამოყენებულ იქნას ოჯახის წევრთა ინტერესების უზრუნველსაყოფად. მათ გარანტირებული უნდა ჰქონდეთ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა. ასეთ პირებს სავალდებულო მემკვიდრეები ეწოდებათ.¹⁵

სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში ნიშნავს, რომ მოანდერძის ქონებიდან კანონით განსაზღვრულ პირებს, წინასწარ დადგენილი ოდენობით, აქვთ წილის მიღების უფლება, მიუხედავად იმისა თუ რა წერია ანდერძში.

მამკვიდრებლის ანუ გარდაცვლილი პირის შვილებს, მშობლებს და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, მიუხედავად იმისა გათვალისწინებული ყავს თუ არა მოანდერძეს ეს პირები ანდერძში.¹⁶

სავალდებულო წილი შეადგენს იმ წილის ნახევარს, რასაც კანონით მემკვიდრეობის დროს თითოეული მემკვიდრე მიიღებდა. მაგალითად: თუ ანდერძის არსებობისას მეუღლე, შვილი და მშობელი ერთად მიიღებდა რვაასი

¹⁵ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 82.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1371.

ლარის ღირებულების ქონებას, სავალდებულო წილი იქნება მისი ნახევარი ანუ ოთხასი ლარი.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სავალდებულო წილის მიღების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ შრომისუუნარო მემკვიდრეებს, როგორც ეს იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, რომ სავალდებულო წილი უნდა იქცეს მათთვის არსებობის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ“.¹⁷

ამ მოსაზრების თანახმად, მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალში, საიდანაც სათავეს იღებს სავალდებულო წილის ინსტიტუტი, მისი ცნების ქვეშ მოიაზრებოდნენ ისეთი კატეგორიის პირები, რომლებსაც არსებობისათვის აუცილებელი სახსარი სავალდებულო წილით უნდა მიეღოთ. ახალი სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი სავალდებულო წილზე უფლება მიენიჭათ ისეთ პირებსაც, რომლებიც შესაძლოა სრულიად არ საჭიროებენ ამგვარ დახმარებას. სავალდებულო წილი აზრს კარგავს, როდესაც, კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო წილზე უფლების მქონე მატერიალურად უზრუნველყოფილ პირებს შეუძლიათ უგულვებელყოფონ მამკვიდრებლის პიროვნება და ინტერესები და განათავსონ ის მოხუცებულთა თავშესაფარში, დატოვონ უყურადღებოდ და ა.შ.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ რ. და ე. შენგელიებს, მათი შეხედულების თანახმად, „არასწორად უნდა ჩაითვალოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, რადგან ასეთი პოზიცია თავისი შინაარსით საბჭოური ხასიათისაა და არსებითად ეწინააღმდეგება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს. იგი არ გამომდინარეობს აგრეთვე ოჯახის წევრთა ინტერესებიდანაც. თუ სავალდებულო წილის ინსტიტუტი უმეტესწილად მამკვიდრებლის ახლბელ პირთა უსახსრობის აღმოფხვრის საშუალებად მოიაზრებოდა, ეს ამოცანა მას ახალ ვითარებაშიც შერჩა. შრომისუუნარიანი უმუშევარი შვილი, მშობელი ან მეუღლე არსებობისათვის საჭირო სახსრების მოპოვების პროცესში არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს შრომისუუნაროსთან შედარებით. გარდა ამისა,

¹⁷ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი 1999, გვ. 461.

სავალდებულო წილისადმი კანონის ახლებური მიდგომა ოჯახის წევრებისადმი ზნეობრივი ვალდებულებების რეალურად შესრულების გამოხატულებაცაა“.¹⁸

სავალდებულო წილთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მისი მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ საკითხები.

გამომდინარე იქიდან, რომ სავალდებულო წილზე უფლება არის მემკვიდრეობის უფლების განსაკუთრებული სახე, მის მიმართ ვრცელდება ის ნორმები, რაც ზოგადად არის დადგენილი მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნას იმ საფძვლების არსებობისას, რაც ზოგადად იწვევს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. თუმცა, აქ სპეციფიკური თავისებურება გვაქვს, მამკვიდრებელს ჯერ კიდევ სიცოცხლეში აქვს უფლება, რომ ჩამოართვას სავალდებულო წილის მიღების უფლება იმ მემკვიდრეს, რომელსაც კანონით ეკუთვნის იგი. სავალდებულო წილის მიღების უფლება მემკვიდრეს შესაძლებელია ჩამოერთვას მამკვიდრებლის სიცოცხლეში. აღნიშნული უფლების ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მეშვეობით. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მაგრამ გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ პირის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. მამკვიდრებლის გარდა სხვა დაინტერესებულ პირებსაც აქვთ შესაძლებლობა, რომ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ სავალდებულო წილის ჩამორთმევა. თუმცა ეს ხდება არა მამკვიდრებლის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შემდეგ.¹⁹

რაც შეეხება იმ მემკვიდრის წილს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთმევა, ანდერძის გარეშე დარჩენილ ქონებად კი არ ჩაითვლება, არამედ გადავა ანდერძით მემკვიდრეებზე. ასეთი ქონება ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილდება თანაბრად და არა მათი წილის შესაბამისად.

სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს, საჭიროა, კანონით განსაზღვრული რამოდენიმე მოთხოვნის დაცვა. უპირველესად უნდა გაირკვეს

¹⁸ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 84.

¹⁹ იქვე. გვ. 91.

სამკვიდრო ქონების მთლიანი მოცულობა. იმისათვის რომ განვსაზღვროთ სავალდებულო წილი, საჭიროა მთელი ქონების განსაზღვრა. სავალდებულო ქონება განისაზღვრება არა მარტო ანდერძში მითითებული, არამედ ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც. სამკვიდრო ქონების მთლიან მოცულობაში ითვლება ის ქონებაც, რომელიც ეხება საანდერძო დანაკისრს.

სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რამდენი მემკვიდრეა სავალდებულო წილის მიმღები. რაც უფრო მეტია სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე, მით უფრო ნაკლები ქონება ერგება თითოეულს კანონით მემკვიდრეობის დროს და შესაბამისად, თითოეულის სავალდებულო წილიც შემცირდება. მათ რიცხვში შედის უღირსი მემკვიდრეც. ხოლო თუ მას ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება მაშინ მისი წილი გადანაწილდება სხვა მემკვიდრეებს შორის, რამაც შესაძლოა სავალდებულო წილის გაზრდა გამოიწვიოს. მას შემდეგ რაც დადგინდება კანონით მემკვიდრეთა წრე, სამკვიდროს ღირებულება უნდა გავყოთ იმ მემკვიდრეების რაოდენობაზე, რომლებსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვთ (შვილები, მშობლები, მეუღლე).²⁰

მაგალითი:

სამკვიდრო ქონება შეადგენს ათას ლარს, მამკვიდრებელს დარჩა მეუღლე და ერთი შვილი, ანუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე ორი მემკვიდრე. ანდერძი ითვალისწინებდა მის საკუთრებაში არსებული ქონების სხვა პიროვნებაზე გადასვლას და არც მეუღლე და არც შვილი მოხსენიებული არ იყვნენ ანდერძში. ანდერძი რომ არ ყოფილიყო მეუღლე და შვილი მიიღებდნენ 500-500 ლარის ღირებულების ქონებას, ანუ ათასი გაყოფილი ორზე. ვინაიდან ანდერძი სახეზე გვაქვს ისინი მიიღებენ სავალდებულო წილს, ხუთასი ლარის ნახევარს ანუ 250 ლარს.

თუკი, რომელიმე კანონისმიერმა მემკვიდრემ, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია, სამკვიდროს გახსნამდე მიიღო

²⁰ ზ. ახვლედიანი, ანდერძით თავისუფლების ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი 1998წ, გვ. 85.

მამკვიდრებლისაგან რაიმე სახის ქონება, იგი ვალდებულია ეს ქონება ჩათვალოს სავალდებულო წილში. თუმცა ამის შესახებ უნდა არსებობდეს დათქმა, რომ მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე მიღებული ქონება უნდა ჩაითვალოს სავალდებულო მასაში. თუ ასეთი დათქმა არ იარსებებს, ასეთი ქონება მოხდება საერთო საკმვიდრო მასაში და იქიდან განისაზღვრება სავალდებულო წილი.

კანონი ითვალისწინებს, მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებული ქონებიდან სავალდებულო წილის გაზრდის შესაძლებლობას. „სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის მიერ სხვაზე გაჩუქებული ქონების ღირებულებაც. ასეთი წესი სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა ინტერესების დაცვის მაღალი ხარისხითაა ნაკარნახევი და სრულებითაც არ გულისხმობს მამკვიდრებლის შეზღუდვას თავისი ქონების განკარგვის საქმეში ან დასაჩუქრებული პირის ინტერესების საწინააღმდეგო ღონისძიების გატარებას - ვთქვათ, ჩუქების ხელშეკრულების გაბათილებასა და დასაჩუქრებლისაგან საჩუქარის გამოთხოვას. აქ საქმე ეხება სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის გამოთვლის განსხვავებულ წესს. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა ანდერძის გაფორმების შემდეგ თავისი ქონებიდან სხვა პირზე გააჩუქა 1000 ლარის ღირებულების ქონება და დარჩენილი სამკვიდრო ქონების ღირებულებამ 4000 ლარი შეადგინა, სავალდებულო წილი, სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, გამოანგარიშებულ უნდა იქნას არა 4000 ლარიდან, არამედ 5000 ლარიდან. თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე ორი პირია, თითოეული მიიღებს არა 1000 ლარის ($4000:2=2000$, რომლის ნახევარი 1000-ის), არამედ 1250 ლარის ($5000:2=2500$, რომლის ნახევარი 1250-ის) ღირებულების ქონებას. ამ შემთხვევაში გაჩუქებული ქონების ღირებულების სამკვიდრო ქონებაში გათვალისწინება სავალდებულო წილის ოდენობას ზრდის 250 ლარით. გაჩუქებული ნივთის ღირებულების გათვალისწინება უნდა მოხდეს სავალდებულო წილის უფლების მქონე კანონისმიერი მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი მოთხოვნის დაყენება კი შესაძლებელია ქონების გაჩუქებიდან 10 წლის ფარგლებში“.²¹

²¹ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 89.

როგორც ვხედავთ, გაჩუქებული ქონებიდან სავალდებულო წილის გაზრდის შესაძლებლობა არის დროებითი, კერძოდ 10 წელი და ამ ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ისპობა, სავალდებულო წილი კი გამოიანგარიშება გაჩუქების შემდეგ დარჩენილი სამკვიდრო ქონებიდან.

თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს ეანდერძა ქონება, რომელიც იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რასაც იგი კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული მისი წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე რასაც მიიღებდა იგი კანონით მემკვიდრეობის დროს.²² მაგალითად, თუ პირს, რომელიც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია, ეანდერძა ქონება, რომლის ღირებულება 300 ლარია, ხოლო სავალდებულო წილი 500 ლარი, მაშინ ანდერძით მიღებულ სამკვიდროს (400 ლარს) უნდა დაემატოს 100 ლარი (500-400).

მემკვიდრეობითი სამართლისათვის უცხო არაა სამკვიდროზე უარის თქმის შემთხვევები. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს უფლება აქვს უარი თქვას თავისი წილის მიღებაზე, თუმცა ეს შემთხვევა არ გამოიწვევს სხვა მემკვიდრეების წილის გაზრდას, ეს ქონება არ გადავა სხვა სავალდებულო მემკვიდრეებზე. მემკვიდრის წილი, რომელმაც უარი თქვა სავალდებულო წილის მიღებაზე, გადადის ანერძით მემკვიდრეებზე.

სავალდებულოა, სავალდებულო წილის მიღება ან მასზე უარის თქმა მოხდეს კანონით დადგენილ ვადებში, კერძოდ, რაც სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმისათვის არის დადგენილი.

„სრული შესაძლებელია, რომ პირს ერთდროულად გააჩნდეს სავალდებულო წილისა და საანდერძო დანაკისრის მიღების უფლება. ასეთ შემთხვევაში პირს აქვს არჩევანის გაკეთების უფლება. მას შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუმცა უარი უნდა თქვას საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. თუკი იგი უარს არ იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე, მაშინ კარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში (სამოქალაქო კოდექსის 1376-ე მუხლი). მაგალითად, თუ საანდერძო დანაკისრი

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1279.

ითვალისწინებს მემკვიდრისაგან საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის 120 ლარის ღირებულების ქონების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო სავალდებულო წილის ღირებულება 150 ლარს შეადგენს და მემკვიდრე საანდერძო დანაკისრზე უარს არ იტყვის, მაშინ ის მიიღებს საანდერძო დანაკისრს - 120 და სავალდებულო წილს 30 ლარის (150-120) ღირებულების ქონებას“.²³

სავალდებულო წილის მოთხოვნა შესაძლებელია მას შემდეგ, რაც გარდაიცვლება მამკვიდრებელი და გაიხსნება სამკვიდრო.²⁴ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო წილზე უფლება გადადის მემკვიდრეობით. მაგალითად, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი გარდაიცვალა და მან ვერ მოასწრო მისი წილის მიღება, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ სავალდებულო წილი იმ ოდენობით რაც გარდაცვლილ მემკვიდრეს ერგებოდა.

სავალდებულო წილის ინსტიტუტი მემკვიდრეობითი სამართლის სპეციფიკურ სახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ.²⁵ როგორ უკვე ავღნიშნეთ, როდესაც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსს განვიხილავდით, იგი ცალსახად არც კანონისმიერ მემკვიდრეობას და არც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას არ განეკუთვნება. მასში ორივე სახის ელემენტები შეგვიძლია ვიპოვოთ. სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება კანონით მემკვიდრეობის სახესხვაობა იმიტომ არ არის რომ განპირობებულია ანდერძით მემკვიდრეობით. ხოლო, ანდერძით მემკვიდრეობისაგან განსხვავდება იმიტომ, რომ იგი ზღუდავს ანდერძს და განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება.

სავალდებულო წილთან დაკავშირებული დავების სიმრავლის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული საკითხი დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია. უნდა აღინიშნოს ისიც რომ, მხარეების მხრიდან, ხშირად სავალდებულო წილთან დაკავშირებული ნორმები სხვადასხვაგვარადაა

²³ ზ. ახვლედიანი, ანდერძით თავისუფლების ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქ. ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი 1998წ, გვ. 86.

²⁴ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ. 126.

²⁵ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 92.

გაგებული. ვფიქრობ, საინტერესო იქნება განვიხილოთ, სავალდებულო წილთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკა.

სასამართლო გადაწყვეტილება

არსებული სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, დავის საგანს წარმოადგენდა: ნათესაური კავშირის დადგენა, პირის გარდაცვლილად გამოცხადება, სამკვიდროს მიღება, სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილება საკმაოდ ვრცელია და ბევრ საკითხს მოიცავს, შევხები მხოლოდ სავალდებულო წილთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო წილის ნაწილში.

აღწერილობითი ნაწილის თანახმად, 2009 წლის 26 მარტს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელთ მიმართეს ა. და ს. ბ-ძეებმა მოპასუხეების ფ.,ლ.,გ. და მ.გ-ძეების მიმართ. მოსარჩელები სხვა მოთხოვნებთან ერთად ითხოვდნენ: უ.ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ი.ბ-ძის წილის, მის მიერ მიშენებული ფართის გამოკლებით) მოსარჩელებისათვის, როგორც თანმყოფი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო წილის გამოყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელები, რომლებიც მოითხოვდნენ სავალდებულო წილს იყვნენ მამკვიდრებლის შვილიშვილები. მათი მამა კი გარდაიცვალა მანამ სანამ მამკვიდრებელი გარდაიცვლებოდა.

უ. ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ი. ბ-ძის სამკვიდრო წილის გამოკლებით) სავალდებულო წილის გამოყოფის თაობაზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით ზუსტად განისაზღვრება სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე. აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ მამკვიდრებლის შვილებს, შობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც

ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. იმის გამო, რომ უ. ბ-ძის გარდაცვალებას წინ უსწრებდა მოსარჩელების მამის, ი. ბ-ძის გარდაცვალება, ბუნებრივია, რომ იგი მოგვიანებით გარდაცვლილი უ. ბ-ძის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი ვერ იქნებოდა. თავად მოსარჩელები კანონის მიერ განსაზღვრულ ამ პირთა წრეში არ შედიოდნენ. შესაბამისად, ისინიც ვერ იქნებოდნენ სავალდებულო წილის მიმღები პირები.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში შეგებებული სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ს. და ა. ბ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი დასახელებული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ა. და ს. ბ-ძეებს არა აქვთ უ. ბ-ძის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე და განმარტა, რომ სავალდებულო წილი ეკუთვნით მხოლოდ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს. ამ მუხლში მოცემული სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირების ჩამონათვალი ამომწურავია, სხვა პირებს სავალდებულო წილის მიღების უფლება არა აქვთ. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მე-2 წინადადებაში საუბარია მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობითობაზე, მაგრამ ეს წინადადება არ შეიძლება განხილულ იქნეს იმავე მუხლის 1-ელი წინადადებისაგან დამოუკიდებლად, სადაც ნათქვამია, რომ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და, სწორედ ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ეს ნიშნავს, რომ თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, სავალდებულო წილის მიღების

უფლების მქონე მემკვიდრე ვერ მოასწრებს სამკვიდროს მიღებას, ეს უფლება შედის მის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეობით.

მოცემულ შემთხვევაში უ. ბ-ძის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე ი. ბ-მე გარდაიცვალა უ. ბ-ძის სამკვიდროს გახსნამდე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ბ-ძის სამკვიდროში არ შესულა უ. ბ-ძის სამკვიდროზე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება და ი. ბ-ძის მემკვიდრეებს (ს. და ა. ბ-ძეები) უ. ბ-ძის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ გააჩნდათ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ს. ბ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრე. სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით, სადაც ჩამოთვლილია მემკვიდრეთა წრე რიგითობის მიხედვით. კანონის აღნიშნული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირველი რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან შვილები, მეუღლე და მშობლები, ანუ პირები, რომლებიც მითითებულნი არიან სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლში. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, შვილიშვილები მემკვიდრეთა ჩამონათვალში მითითებულნი არიან, თუმცა ისინი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდნენ მემკვიდრეები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ეკუთვნოდა. ამასთან, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის სამკვიდროს გახსნამდე გარდაცვალების შემთხვევაში, შვილიშვილები მემკვიდრეობით ერთგვებიან როგორც პირველი რიგის მემკვიდრეები და იკავებენ მათი მშობლების (სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირების) ადგილს. ი. ბ-მე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მას

როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს უფლება ექნებოდა მიეღო სავალდებულო წილი, ამიტომ, ეს უფლება უნდა გადავიდეს მის შვილებზე.

საკასაციო სასამართლომ, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ ს. და ა. ბ-ძეების საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ უ. ბ-ძის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლება მოსარჩელებს არ გააჩნიათ. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტებები 1371 და 1372-ე მუხლებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა კასატორების არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლოს მათთვის სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შვილიშვილებიც შედიან. ისინი ითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობა – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს და შესაბამისად, სადავო ურთიერთობა რეგულირდება სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის

გარდაცვალების შემთხვევაში, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

სარეზოლუციო ნაწილი საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების თანახმად ჩამოაყალიბა და უცვლელი დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში.²⁶

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, საქმე ეხებოდა სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღების საკითხს. მემკვიდრეებს მიაჩნდათ, რომ მათ ეკუთვნოდათ სავალდებულო წილი, რომელიც ვერ მიიღო მათმა მამამ, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა. მ.ბ-ძის გარდაცვალება წინ უსწრებდა უ.ბ-ძის გარდაცვალებას. სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვთ პირებს, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ უ.ბ-ძის გარდაცვალებას წინ უსწრებდა მ.ბ-ძის გარდაცვალება, მ.ბ-ძის მემკვიდრეები არ იყვნენ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირები. სავალდებულო წილზე უფლების მქონე მემკვიდრეებად უ.ბ-ძის გარდაცვალების შემდეგ ჩაითვლებოდნენ მისი ცოცხლად დარჩენილი მემკვიდრეები, რომელსაც კანონი ითვალისწინებს. მემკვიდრეობის უფლება კი იმ შემთხვევაში შეეძლოთ გამოეყენებინათ მ.ბ-ძის შვილებს, თუკი მ.ბ-ძე ისე გარდაიცვლებოდა რომ გახსნილი სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პირს მემკვიდრეობით სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში აქვს თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ის პირი ვისაც უნდა მიეღო მემკვიდრეობა ცოცხალი იყო, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მიიღო მემკვიდრეობა.

²⁶ მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201111.pdf>

თავი II. სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მოქმედი კანონმდებლობით.

2.1. ანდერძის თავისუფლების პრინციპისა და სავალდებულო წილის ურთიერთმიმართება.

ანდერძის თავისუფლების პრინციპი, როგორც ვიცით, მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. მაგრამ როდესაც სახეზე გვაქვს სავალდებულო წილის ინსტიტუტი, ანდერძის თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვას განიცდის.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევაში თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც“.²⁷ როგორც ვხედავთ, მამკვიდრებელს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი ქონება. დაუტოვოს ის ვისაც სურს, გაუნაწილოს იგი ერთ ან რამოდენიმე პირს ან საერთოდ უარი თქვას მის განკარგვაზე. მამკვიდრებელი სრულიად თავისუფალია ანდერძის წერისას და მისი ნების გამოვლენა ხდება საკუთარი სურვილისამებრ.

აღნიშნულის მიუხედავად, მემკვიდრეობის სამართალში სავალდებულო წილის ინსტიტუტის არსებობა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ანდერძის თავისუფლებას. ზოგიერთ მემკვიდრეს, მიუხედავად ანდერძის თავისუფლების პრინციპისა, არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება მემკვიდრეობაზე, არსებობს კანონით განსაზღვრული პირთა წრე რომელთაც აქვთ უფლება სავალდებულო წილზე. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, „მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი)“. მოცემული ნორმიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, მიუხედავად იმისა რომ არსებობს ანდერძის თავისუფლება და პირს შეუძლია საკუთარი

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1344.

შეხედულებისამებრ შეადგინოს ანდერძი, არსებობენ პირები, რომელთაც გააჩნიათ მემკვიდრეობით გარკვეული წილის მიღების უფლება და რომ მათი წილი წინასწარ, კანონით არის „დაჯავშნული“.²⁸

როგორც უკვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის განხილვისას აღვნიშნე, სავალდებულო წილის მქონე პირები იყვნენ არასრულწლოვანი და შრომისუუნარო მემკვიდრეები.²⁹

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა შეცვალა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე სუბიექტთა წრე, კერძოდ მან გაზარდა ის წრე რომელსაც გულისხმობდა ძველი, სსრ კოდექსი. თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობის 547-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროდან სავალდებულო წილი ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან შრომისუუნარო პირებს (მათ შორის ნაშვილებს), ასევე მამკვიდრებლის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს) და მის რჩენაზე მყოფ სხვა პირებს, ახალი სამოქალაქო კოდექსი აღარ აკონკრეტებს მათ არასრულწლოვნებასა და შრომისუუნარობაზე.

ახალი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სავალდებულო წილზე უფლება ეკუთვნით, მამკვიდრებლის მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს.

სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირთა განახლებული წრე არ მიმაჩნია მისაღებად. რა თქმა უნდა, ანდერძის თავისუფლება არ უნდა იყოს აბსოლიტური და დასაშვებია მისი შეზღუდვა, თუმცა, ძველი კანონმდებლობით რეგულირებული ეს ნორმა ბევრად სწორად მიმაჩნია. კანონმდებელი უნდა ითვალისწინებდეს მამკვიდრებლის ოჯახის ინტერესებს, მაგრამ ეს არ შეიძლება ზღუდავდეს მამკვიდრებლის უფლებას, რომ განკარგოს მისი ქონება, ისე როგორც თავად სურს. ვფიქრობ, როდესაც კონკრეტული პიროვნება, მთელი ცხოვრების მანძილზე შრომობს და წვალობს, რათა შექმნას საკუთარი ქონება, მას იმის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი მონაპოვარი განკარგოს ისე, როგორც თავად სურს. მიუღებელად მიმაჩნია ანდერძის თავისუფლების ისეთი შეზღუდვა, რომლის დროსაც, მამკვიდრებელი მოკლებულია შესაძლებლობას,

²⁸ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ. 95.

²⁹ დაწვრილებით იხილეთ: ნაშრომის 1.2. ქვეთავი, სავალდებულო წილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით.

საკუთარი ქონება განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ. როგორც ლ.ჭანტურია აჭნიშნავს, „საკუთრება, ეს პიროვნული თავისუფლების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.“³⁰ ამიტომ ვფიქრობ, მესაკუთრეს უნდა გააჩნდეს უფლება განკარგოს მისივე ქონება თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

რომის სამართალი, სავალდებულო წილის ცნებაში მოიაზრებდა იმას, რომ პირებს უნდა მიეღოთ, არსებობისათვის აუცილებელი სახსრები. ახალი სამოქალაქო კოდექსი კი ასეთ უფლებას ანიჭებს ყველას, აქვთ თუ არა მათ ასეთი დახმარების საჭიროება.

როგორც უკვე აღვნიშნე, მემკვიდრეების უფლება თავისუფლად განკარგოს თავისი საკუთრება უნდა იყოს დაცული, თუმცა, არ შეიძლება ისეთი მემკვიდრეების წილის გარეშე დატოვება რომელიც ამას საჭიროებენ. ამიტომ დასაშვებად მიმაჩნია ანდერძის თავისუფლების ნაწილობრივ შეზღუდვა. როგორც ასევე აღვნიშნე, ძველი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა პირის არასრულწლოვნობისა და შრომისუუნარობის გამო ანდერძის თავისუფლების შეზღუდვას, ბევრად მართებულად მიმაჩნია. ისევე როგორც ამას ითვალისწინებდა სავალდებულო წილის ცნება მისი ჩამოყალიბების პერიოდში, საჭიროდ მიმაჩნია, რომ სავალდებულო წილი სავალდებულო მემკვიდრეებისათვის უნდა იყოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

ჩემი აზრით, პროფესორი შ. ჩიკვაშვილი სწორად ასაბუთებს ანდერძის თავისუფლების ახალი კანონმდებლობით შეზღუდვის მიუღებლობას და წერს: „მართალია, კანონმდებლობის ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ადასტურებს კანონის ჰუმანურ ბუნებას, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ამგვარი მიდგომით მეტად გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთაც მინიჭებული აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება“.³¹

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სავალდებულო წილის მიღების უფლება ჰქონდეთ მხოლოდ შრომისუუნარო მემკვიდრეებს და რომ სავალდებულო წილი უნდა იქცეს მათთვის არსებობის ერთ-ერთ ძირითად

³⁰ ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი 1994, გვ. 87.

³¹ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ. 99.

წყაროდ, არასწორია და თავისი შინაარსით საბჭოურ ხასიათს ატარებს. „იგი არ გამომდინარეობს აგრეთვე, ოჯახის წევრთა ინტერესებიდანაც. თუ სავალდებულო წილის ინსტიტუტი უმეტესწილად მამკვიდრებლის ახლობელ პირთა უსახსრობის აღმოფხვრის საშუალებად მოიაზრებოდა, ეს ამოცანა მას ახალ ვითარებაშიც შერჩა. შრომისუნარიანი უმუშევარი შვილი, მშობელი და მეუღლე არსებობისათვის საჭირო სახსრების მოპოვების პროცესში არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს შრომისუნაროსთან შედარებით. გარდა ამისა, სავალდებულო წილისადმი კანონის ახლებური მიდგომა ოჯახის წევრებისადმი ზნეობრივი ვალდებულებების რეალურად შესრულების გამოხატულებაა.“³²

აღნიშნულ მოსაზრებას არ ვეთანხმები, გამომდინარე იქიდან, რომ არ შეიძლება შრომისუნარიანი და შრომისუნარო პირი ერთსა და იმავე კატეგორიაში გავიყვანოთ და არ მივცეთ არაშრომისუნარო პირებს გარკვეული უპირატესობა. თუკი შრომისუნარო პირს არ გააჩნია შემოსავალი იმის გამო, რომ არ შეუძლია მუშაობა და შემოსავლის მიღება არაშრომისუნარიანობის გამო, არ შეგვიძლია გავაიგივოთ ასეთი პირები იმ ადამიანთან, რომელსაც ამის შესაძლებლობა აქვს, თუმცა, სრულიად სხვა მიზეზით არის უმუშევარი და არ გააჩნია შემოსავალი, ამის შესაძლებლობას მას აძლევს ფიზიკური ან/და სულიერი მდგომარეობა, თუმცა შემოსავლის უქონლობის მიზეზი სრულიად სხვაა. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მამკვიდრებელი არის მათი ოჯახის წევრი და იცის მათი შესაძლებლობები, ასეთ პირებს, საკუთარი სურვილის შემთხვევაში, თავად დაუტოვებს მემკვიდრეობას და არ დატოვებს ყველაფრის გარეშე.

არ შეიძლება გათვალისწინებლ იქნას მხოლოდ ოჯახის ინტერესები და ამით უგულებელვყოთ მამკვიდრებლის ინტერესები. მამკვიდრებელი ის პირია, რომელსაც სურს თავისი საკუთარი ქონება განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ. მამკვიდრებელს საკუთრების ქონისა და მისი სურვილისამებრ განკარგვის უფლებას კონსტიტუცია ანიჭებს.³³ ამიტომ მიმაჩნია, ანდერძის თავისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ

³² რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 84.

³³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.

შემთხვევებში. თუკი იგი ისე გაანაწილებს ანდერძით მთელ ქონებას, რომ არ დაუტოვებს მისი ოჯახიდან რომელიმე წევრს წილს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სურვილი იყო ასეთი და რომ იგი მიიჩნევდა, ეს პირები არ საჭიროებდნენ არსებობისათვის აუცილებელი სახსრების მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის არსებობს კარგი ურთიერთობა და მამკვიდრებელი ხედავს, მისი შვილი, მეუღლე ან მშობელი საჭიროებს დახმარებას, ვფიქრობ, იგი არ დატოვებს მათ რაიმე წილის გარეშე.

რაც შეეხება არასრულწლოვან და შრომისუუნარო პირებს, ესენი არიან პირები, რომელთაც მათი ასაკისა თუ ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ შემოსავალი, მუშაობდნენ და იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას. სწორედ ამიტომ, ასეთი პირები არ შეიძლება დარჩნენ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ყველაფრის გარეშე. ასეთ პირებს სჭირდებათ დახმარება, რომელსაც თავიანთ თავებს გარკვეული მიზეზის გამო ვერ აღმოუჩენენ. სწორედ ამიტომ, თუკი მამკვიდრებელი ასეთ პირებს არ ითვალისწინებს ანდერძში, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, არ დარჩნენ ყველაფრის გარეშე და მიიღონ სამკვიდრო მასიდან თავიანთი წილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოცემული მოსაზრება არაა სწორი და ვერ დავუშვებ, არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირები გაუთანაბრდნენ შრომისუუნარიან უმუშევარ პირებს. მათ შორის სხვაობა ნათელია და ამის გამო არ შეგვიძლია ერთ კატეგორიაში გავიყვანოთ ისინი.

სამოქალაქო კოდექსში მრავლადაა ისეთი მუხლები, რომლებიც ცალსახად იცავენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეების ინტერესებს. მაგრამ თითქმის ასად გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც მოანდერძის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ვფიქრობ, თუკი მოანდერძეს სურს, მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს კონკრეტულ პირს, მისი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. მაშინ როდესაც საუბარია ანდერძის თავისუფლების პრინციპზე, მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებაზე, საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს ქონება და ამ დროს ჩნდება სავალდებულო წილის ასეთი ცნება,

ანდერძის თავისუფლების პრინციპს სხვად ვერაფრად მივიჩნევთ თუ არა ერთგვარ ფიქციად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რომ, ძველი, სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სავალდებულო წილის მიღების მქონე პირთა წრეს ბევრად უკეთ განსაზღვრავდა, ვიდრე იგი განსაზღვრულია დღეს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით.

2.2. უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნას იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც ზოგადად იწვევენ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებით ხელმძღვანელობს სასამართლო სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის დროს.

მაშინ როდესაც ვსაუბრობთ უღირს მემკვიდრეებზე, ვფიქრობ, საჭიროა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლი, რომლის შინაასი სათაურთან შეუსაბამოდ მეჩვენება. მოცემული მუხლის სათაურს ქვია შემდეგი: „მშობლები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები“, სათაურის წაკითხვისას ვხვდებით, რომ მუხლის შინაარსი უნდა ეხებოდეს მშობლებს. თუმცა, როდესაც მოცემული მუხლის მეორე წინადადებას ვკითხულობთ, ამით მუხლის სათაურთან ვფიქრობ წინააღმდეგობაში მოვდივართ, „კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით.“³⁴

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ნ. ძნელაძე აღნიშნავს, „ლოგიკური იქნებოდა ამ მუხლის სათაურის შემდეგნაირად შეცვლა: „პირები, რომლებიც არ

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1311.

შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები“, თუმცა ამ მუხლის ამდაგვარი ახალი რედაქცია გამოიწვევდა იმას, რომ განსხვავებული შინაარსის ორ მუხლს ექნებოდა ერთი და იგივე შინაარსის სახელწოდება, კერძოდ 1310-ე მუხლის „უღირსი მემკვიდრე“ და 1311-ე მუხლის სათაური „პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია 1310-ე და 1311-ე მუხლების გაერთიანება ერთი სათაურის ქვეშ, კერძოდ: „უღირსი მემკვიდრეები“.³⁵

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოცემული მოსაზრება მართებულად მიმაჩნია, და ვფიქრობ, ამ ორი მუხლის მიმართ საჭიროა შესაბამისი რედაქტირება, კერძოდ, მისი ერთი სახელწოდების ქვეშ, ერთ მუხლად გაერთიანება.

დღესდღეობით საქართველოში სხვადასხვა სახის სასამართლო წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უღირს მემკვიდრედ ცნობისა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევასთან, ასევე სხვა მსგავსი ღონისძიებების პროცესუალურ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, განვიხილოთ იწვევს თუ არა უღირს მემკვიდრედ ცნობა ავტომატურად, სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლების დაკარგვას, როგორ ხდება უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა. ნიშნავს თუ არა სავალდებულო წილზე უფლების ჩამორთმევა მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. მოკლედ განვიხილოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი არსებითი საკითხი.

პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს უღირს მემკვიდრედ ცნობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1318-ე მუხლები) და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა (სსკ-ის 1381-ე, 1382-ე მუხლები). მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 1381-ე მუხლში კეთდება მითითება სსკ-ის 1310-ე მუხლზე, ორივე სამართლებრივ საკითხზე ვრცელდება განსხვავებული წესები და მექანიზმები.

³⁵ ნ. ძნელაძე, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, ჟურნალი „სამართალი“ N 6-7, თბილისი 2000, გვ. 71.

სსკ-ის 1310-ე მუხლი განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს, რომლებიც, სსკ-ის 1381-ე მუხლის თანახმად, ვრცელდება ასევე სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შემთხვევებზეც.

„ქართული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ნათელი ხდება სრული თანხმობის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირს, რომელმაც განზრახ მოკლა მამკვიდრებელი, უფლება არააქვს ისარგებლოს აღნიშნული შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ანდერძითა თუ კანონით მემკვიდრეობით, აქ ანალოგიით (სსკ-ის მე-5 მუხლი) უნდა დავეყრდნოთ სსკ-ის 98-ე II მუხლს, რომლის თანახმადაც, თუ პირობის დადგომას არაკეთილისინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება. ეს ნორმა, თავის მხრივ, გახლავთ კეთილისინდისიერების ზოგადი პრინციპის გამოხატულება, რომელიც ვრცელდება მთელ სამოქალაქო სამართალზე და ჩამოყალიბებულია სსკ-ის 361-ე II მუხლში. ამ ნორმით იკრძალება, მაგალითად, საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან უშუალო სამართლებრივი სარგებლის მიღება. აქ საქმე ეხება რომის სამართლის პრინციპს *expcprio doli specialis*, რომელსაც ანგლოამერიკულ სამარალში ეფუძნება *unclean hands*-ის (არასუფთა ხელები) შეცილება“.³⁶

ქართულ სასამართლოებში ერთგვარი თანხმობის მიუხედავად, სადავო საკითხად რჩება, თუ ვინ და რა სახით უნდა დააყენოს დამნაშავის უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხი. კონკრეტულად კი სადავოა ის - მამკვიდრებელი ჯერ კიდევ სიცოცხლეში არის თუ არა უფლებამოსილი აღძრას აღნიშნული სარჩელი. დამთავრებული დანაშაულის (მკვლელობის) შემთხვევაში, ბუნებრივია, ეს პრობლემა აღარ დგება. მოსარჩელე შეიძლება იყოს მხოლოდ ის მემკვიდრე, რომლისთვისაც უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ, უპირატეს ქონებრივ შედეგებს იწვევს.

³⁶ 3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 516.

ისეთ შემთხვევაში, თუკი სახეზე გვაქვს დაუმთავრებელი დანაშაული, მკვლელობის მცდელობა, მოსამართლეების უმრავლესობა ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ მამკვიდრებელს უნდა ჰქონდეს უფლება, აღძრას აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად). ამ მუხლიდან ცალსახად გამომდინარეობს მამკვიდრებლის უფლება, აღძრას აღიარებითი სარჩელი სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის თაობაზე. ეს ნორმები გამოყენებულ უნდა იქნას ანალოგიით რათა მამკვიდრებელს შეეძლოს უღირსი მემკვიდრისათვის სასამართლო წესით სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა, მაგრამ არა მემკვიდრეობის ჩამორთმევა. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევას თან სდევდეს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.³⁷

ბიოლინგის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: „მამკვიდრებელს კანონის ნორმების შესაბამისად არა აქვს შესაძლებლობა, თავის სიცოცხლეშივე დააყენოს საკითხი პირის სასამართლოს გზით უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრება ეწინააღმდეგება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, კანონის სისტემას, კანონის არსს და მიზანს. მსგავსი სარჩელის აღძვრისათვის აუცილებლობაც არ არსებობს.“³⁸

სსკ-ის 1312-ე მუხლის თანახმად, იმ პირების წრე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აღძრან სარჩელი შემოიფარგლება იმ პირებით, „რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს“. როგორც ვხედავთ მათ რიცხვს არ განეკუთვნება მამკვიდრებელი, შესაბამისად, ბიოლინგის

³⁷ ჰ. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 517.

³⁸ იქვე. გვ. 520.

მოსაზრება, რომ მამკვიდრებელს არ აქვს საკითხის დაყენების უფლება პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ, მართებულად მიმაჩნია. მამკვიდრებელი შეუზღუდავია მის დისპოზიციურ თავისუფლებაში და იგი არ არის დამოკიდებული მსგავს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

სწორედ ამიტომ სსკ-ის 1317-ე მუხლი სარჩელის აღძვრისათვის სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ხუთწლიან ვადას ითვალისწინებს, რაც გულისხმობს სარჩელის აუცილებელ წინაპირობად, მამკვიდრებლის გარდაცვალებას.

”კანონმდებელმა აშკარად გამიზნულად შექმნა სსკ-ის 1381-ე მუხლისაგან განსხვავებული ნორმა, რომლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია მამკვიდრებლის მიერ სარჩელის აღძვრის უფლება. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება გამორიცხავს ნორმის ანალოგიით გამოყენებას კანონით მოუწესრიგებელ შემთხვევაზე, რადგან სახეზე არაგვაქვს ანალოგიის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ გამორჩენილი ხარვეზი. ის ფაქტი, რომ კონკრეტული „ა“ გარემოება და კანონით მოწესრიგებული „ბ“ შემთხვევა ერთმანეთის მსგავსად შეგნებულად არ მოწესრიგდა, თავისთავად გამორიცხავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. სრულიად საპირისპიროდ, კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ე.წ. უკუდასკვნის გაკეთების შესაძლებლობას - *argumentatio e contratio an argumentum e silentio*. თავისი დუმილით კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა უნდა გადაწყდეს კანონით ცალსახად მოწესრიგებული შემთხვევის მსგავსად.“³⁹

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, დასაშვებია თუ არა კანონის ანალოგიის გამოყენება და იქმნება თუ არა უკუდასკვნის გაკეთების აუცილებლობა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ნორმის აზრისა და მიზნის გამოკვლევის შედეგად.

გამომდინარე იქიდან რომ მამკვიდრებელს სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან დაკავშირებით კანონისმიერი სავალდებულო წილის მოთხოვნის

³⁹ 3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 520.

უფლების ჩამორთმევა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით შეუძლია, ხოლო მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლო ჩარევას არ საჭიროებს, მამკვიდრებელს შეუძლია, კანონით მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას ანდერძის საფუძველზე, ხოლო ანდერძით მემკვიდრის შემთხვევაში, შეიტანოს ანდერძში შესაბამისი ცვლილებები.

ასეთ შემთხვევაში, ზედმეტია აღიარებითი სარჩელის აღძვრა. უარი უნდა ითქვას ამგვარი სარჩელის დაკაყოფილებაზე, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის მოთხოვნებს. მოსამართლის მიერ უნდა გაკეთდეს მოსაზრება იმაზე, რომ მამკვიდრებელს, თავისი უკანასკნელი ნების განხორციელებისათვის გააჩნია, ბევრად მარტივი გზა - ანდერძი. სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლება კი უნდა გააჩნდეთ იმ პირებს, რომლებიც მემკვიდრის უღირსად ცნობის შედეგად სარგებელს მიიღებენ.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მამკვიდრებელს შეუძლია, აღძვრას სარჩელი, მხოლოდ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო წილიზე მიღების უფლების ჩამორთმევა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. სასამართლოს წესით სავალდებულო წილზე უფლების ჩამორთმევა, უცვლელად ტოვებს პირის უფლებას მემკვიდრეობაზე. მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის მიღების უფლების ჩამორთმევა მხოლოდ ანდერძის შეცვლის გზით.

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველია მამკვიდრებლის ნება. მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია, ანდერძში პირდაპირ მითითებით, რომ კონკრეტულ პირს ერთმევა მამკვიდრეობის უფლება ან/და ანდერძით ქონების განაწილების დროს, კონკრეტული კანონით მემკვიდრისათვის გვერდის ავლით.

თუ მამკვიდრებელი არ ჩამოართმევს პირს მემკვიდრეობას ანდერძის გზით, მაშინ ამის უფლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ პირებს რჩებათ, კერძოდ კი 1312-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ პირთა წრეს. მამკვიდრებელს

შეუძლია, პირს ჩამოართვას უფლება სავალდებულო წილზე და დაუტოვს უფლება მემკვიდრეობაზე. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც სავალდებულო წილის მოცულობა უფრო დიდია, ვიდრე ანდერძით გათვალისწინებული სამკვიდრო. თუმცა შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც სავალდებულო წილთან ერთად მამკვიდრებელი პირს ართმევს სამკვიდროს მიღების უფლებასაც.⁴⁰

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა ემყარება განსხვავებულ წესებს და ისინი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. შესაძლებელია, ცალკეული მუხლები ანალოგიით იქნას გამოყენებული, თუმცა, მკაცრად უნდა ნორმის მიზნის და სამართლებრივი შედეგების შემოწმება.

2.3. სავალდებულო წილთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება არ წარმოადგენს კანონით მემკვიდრეობის წმინდა ფორმას, რადგანაც იგი არ დადგება თუ შედგენილი არ არის ანდერძი. ამდენად, სავალდებულო წილის ინსტიტუტი მემკვიდრეობის სპეციფიკურ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ცალსახად არც კანონისმიერ მემკვიდრეობას მიეკუთვნება და არც ანდერძისმიერს. მასში ორივე სახის ელემენტები შეგვიძლია ვიპოვოთ. სავალდებულო წილი არ შეგვიძლია მივიჩნიოთ კანონისმიერი მემკვიდრეობის სახედ იმდენად, რამდენადაც იგი მთლიანად დაკავშირებულია ანდერძთან და განპირობებულია მისი არსებობით. ანდერძით მემკვიდრეობისაგან კი იმით განსხვავდება, რომ იგი გულისხმობს ანდერძის შეზღუდვას და კანონით განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც გააჩნია სავალდებულო წილის მიღების უფლება. შესაბამისად, მას ვერ მივიჩნევთ

⁴⁰ 3. ბიოლინგი, სტატია - უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6 N 4. გვ. 520

ანდერძით მემკვიდრეობის წმინდა ფორმად, ვინაიდან იგი თავად ზღუდავს ანდერძის თავისუფლების პრინციპს.⁴¹

„სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის უნდა გაირკვეს მთელი სამკვიდროს მოცულობა და კანონით მემკვიდრეთა რიცხვი. სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან (როგორც ანდერძით გათვალისწინებული, ისე გაუთვალისწინებელი ქონებიდან) იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 1373-ე მუხლი). კანონით მემკვიდრეთა რიცხვი კი განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომელიც მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან. მემკვიდრეთა რიცხვში გათვალისწინებული უნდა იქნენ უღირსი მემკვიდრეები (მემკვიდრეები, რომლებსაც სასამართლომ ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება). მაშასადამე, თავდაპირველად უნდა გამოვლინდეს ყველა კანონით მემკვიდრე, რომელიც მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, შემდეგ უნდა განისაზღვროს მთელი სამკვიდრო (მისი ღირებულება) და გაიყოს კანონით მემკვიდრეთა რიცხვზე. მიღებული სიდიდის ნახევარი იქნება სავალდებულო წილი. დავუშვათ, რომ სამკვიდროს ღირებულება არის 6000 ლარი. მამკვიდრებელს დარჩა პირველი რიგის სამი მემკვიდრე - მეუღლე და ორი შვილი, რომლებიც ამავე დროს სავალდებულო მემკვიდრეებიც არიან. ანდერძი შეადგენილი იყო სხვა პირის სასარგებლოდაც. ანდერძი რომ არ ყოფილიყო თითოეული მემკვიდრე კანონით მემკვიდრეობის წესით მიიღებდა 2000 ლარის ღირებულების ქონებას (6000:3). თითოეულის სავალდებულო წილი კი იქნება 1000 ლარის ღირებულების ქონება (2000 ლარის ნახევარი)“.⁴²

⁴¹ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011, გვ. 92.

⁴² ზ. ახვლედიანი, „ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ. 1999, გვ. 85.

თუ ანდერძით გათვალისწინებული არაა მთელი სამკვიდრო, მაშინ სავალდებულო წილი უპირველესად გამოიყოფა ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან, ხოლო თუ ეს ქონება საკმარისი არ იქნება მაშინ იგი შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან.

პირი, რომელსაც გააჩნია სავალდებულო წილის მიღების უფლება და მან მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიიღო რაიმე სახის ქონება მამკვიდრებლისაგან, იმაზე მითითებით, რომ ყველაფერი რაც მან მამკვიდრებლისაგან მიიღო, ჩაითვლებოდა სავალდებულო წილში, ვალდებულია, ჩათვალოს მიღებული სავალდებულო წილში. მაგალითად, თუკი მემკვიდრის სავალდებულო წილი შეადგენს 200 ლარს და გაირკვა, რომ მას მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიღებული ქონდა 50 ლარი, იმაზე მითითებით, რომ იგი ჩაითვლებოდა სავალდებულო წილში, სავალდებულო მემკვიდრე მიიღებს 150 ლარის ღირებულების ქონებას (200-50).

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კანონმდებელი არ განსაზღვრავს, მითითება იმის შესახებ, კონკრეტული ქონება უნდა ჩაითვალოს თუ არა სავალდებულო წილში, უნდა გაკეთდეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით. ასე რთული ხდება გაირკვეს ნამდვილად უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის ქონება სავალდებულო წილში. მხარეებს შორის ნამდვილად არსებობდა თუ არა ამ საკითხზე შეთანხმება. სწორედ ამიტომ, მართებულად მიმაჩნია, რომ მითითება, გაცემული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლა/არ ჩათვლის შესახებ უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და იგი უნდა დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ.

სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრისას გარკვეული ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საანდერძო დანაკისრმა. პირს, შესაძლებელია, ერთდროულად ქონდეს, როგორც სავალდებულო წილის ისე საანდერძო დანაკისრის მიღების უფლება. ასეთ პირს, რომელიც სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონეცაა და საანდერძო დანაკისრის (ლეგატის) მიმღებიცაა, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, მაგრამ უარი უნდა თქვას საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. თუ იგი საანდერძო დანაკისრზე უარს არ იტყვის, მაშინ

დაკარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში.⁴³ მაგალითად, თუ საანდერძო დანაკისრი ითვალისწინებს საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის მემკვიდრისაგან 200 ლარის ღირებულების ქონების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო სავალდებულო წილის ღირებულება 250 ლ შეადგენს და მემკვიდრე არ იტყვის უარს საანდერძო დანაკისრზე, მაშინ ის მიიღებს საანდერძო დანაკისრს 200 და სავალდებულო წილიდან 50 ლარის (250-200) ღირებულების ქონებას. როგორც ვხედავთ, თუკი საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს არ იტყვის საანდერძო დანაკისრზე, მაშინ იგი სავალდებულო წილს სრულიად ვერ მიიღებს. მას უფლება ექნება მოითხოვოს ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სავალდებულო წილის ფარგლებში აღემატება საანდერძო დანაკისრს.⁴⁴

„თუ საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილის ტოლფასია ან მასზე მეტი, სავალდებულო მემკვიდრე ვერაფერს მიიღებს სავალდებულო წილის სახით. მაგალითად, თუ საანდერძო დანაკისრი ითვალისწინებს მემკვიდრისათვის 500 ლარის ღირებულების ქონების გადაცემას, ხოლო სავალდებულო წილის ოდენობა 800 ლარია და მემკვიდრე საანდერძო დანაკისრის მიღებაზე უარს არ იტყვის, მაშინ მას უფლება ექნება მიიღოს საანდერძო დანაკისრი მთლიანად, ანუ 500 ლარი და სავალდებულო წილიდან მხოლოდ 300 ლარი (800-500), რითაც ნაკლებია საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილზე. მაგრამ, თუ საანდერძო დანაკისრი 500 ლარია და სავალდებულო წილი კი - 400 ლარი, მემკვიდრე მიიღებს მხოლოდ 500 ლარს საანდერძო დანაკისრის სახით, სავალდებულო წილიდან იგი ვერაფერს მიიღებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული ვალდებულება“.⁴⁵

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, იმ შემთხვევაში თუკი პირი, უარს არ იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე, იგი დაკარგავს უფლებას სავალდებულო წილის მთლიანად მიღებაზე. თუმცა, თუკი საავალდებულო წილი

⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1376.

⁴⁴ ზ. ახვლედიანი, „ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ. 1999, გვ. 86.

⁴⁵ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2009, გვ. 92.

იქნება საანდერძო დანაკისრზე მეტი, იგი მიიღებს მათ შორის სხვაობას სავალდებულო წილიდან. თუკი პირიქით, სავალდებულო წილი იქნება საანდერძო დანაკისრის თანაბარი ან მასზე ნაკლები, პირი მიიღებს მხოლოდ საანდერძო დანაკისრს და სხვას ვერაფერს. როგორც ვხედავთ, ორივეს მიღების შესაძლებლობა ერთად არ არსებობს, გარდა გარკვეული გამონაკლისისა რომელიც მხოლოდ მათ შორის არსებული სხვაობის მიღებას გულისხმობს. ასევე უნდა აღინიშნოს იმ გარემოების შესახებ, რომ მემკვიდრე ყველა შემთხვევაში, თუკი იგი უარს არ იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე, ვალდებულია, რომ შეასრულოს საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მაშინ როდესაც ვსაუბრობთ სავალდებულო წილთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არ შემოდია, არ შევუბო ჩუქებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელსაც, ჩემი აზრით, ისევ ანდერძის თავისუფლების პრინციპის შეზღუდვასთან მივყავართ.

კანონი ითვალისწინებს, მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებული ქონებიდან სავალდებულო წილის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობას. თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, ამ შემთხვევაში, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს შეუძლია, სავალდებულო წილის შევსება მოითხოვოს იმ თანხით, რომლითაც გაიზრდებოდა სავალდებულო წილის მოცულობა, თუკი გაჩუქებული ნივთი შევიდოდა სამკვიდროში. კანონი ასევე ითვალისწინებს ვადას თუ რა ვადაში გაჩუქებული ნივთი შეიძლება შევიდეს სამკვიდროში. კანონის თანახმად ამ ვადას ათი წელი შეადგენს. თუკი ნივთის გაჩუქებიდან გასულია ათ წელზე მეტი, მემკვიდრეს არ შეუძლია მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის ანგარიშში ჩათვლა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1378-ე მუხლი).⁴⁶

⁴⁶ ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ. 1999, ზ. ახვლედიანი, „ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“, გვ. 86.

მაგალითი:

„მამკვიდრებელმა გარდაცვალებამდე ხუთი წლით ადრე, გარეშე პირს აჩუქა ნივთი, რომლის ღირებულებაა 300 ლარი, სამკვიდრო კი, რომლის ღირებულება 600 ლარია, მამკვიდრებელმა სხვა პირს უანდერძნა, მაშინ, როცა მამკვიდრებელს სამი შვილი დარჩა. ამ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სავალდებულო წილი გამოანგარიშებულ უნდა იქნას 900 ლარიდან (600+300). ანდერძი რომ არ ყოფილიყო თითოეულ შვილს, როგორც კანონით მემკვიდრეების წილი იქნებოდა 300 ლარი (900:3), სავალდებულო წილი კი იქნებოდა 150 ლარი (სამასის ნახევარი). ამგვარი ნორმის არარსებობის შემთხვევაში სავალდებულო მემკვიდრეების წილი შეადგენდა არა 150 ლარს, არამედ, 100 ლარს, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრე მიიღებდა 300 ლარს და არა 150-ს. აქედან ნათლად ჩანს რომ, მოცემული მუხლი უაღრესად ზღუდავს ანდერძის თავისუფლებას და კიდევ უფრო აფართოებს სავალდებულო მემკვიდრეების ისედაც გაზრდილ უფლებებს, რაც ჩემი აზრით, ყოვლად მიუღებელია“.⁴⁷

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ეს ფაქტი ანდერძის თავისუფლების შეზღუდვად მიმაჩნია და იგივე მოსაზრება გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით პროფესორ ნ. ძნელაძეს. პირს, რომელმაც წლების მანძილზე დააგროვა ქონება, გააჩნია საკუთრება და შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს იგი, არ შეგვიძლია ასე მნიშვნელოვნად შევზღუდოთ უფლება რომელსაც მას კანონი ანიჭებს. ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას დასაჩუქრებულს მისი თანხმობით. მჩუქებელი აჩუქებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, იმ ქონებას რომლის საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ განკარგვის უფლებამოსილება გააჩნია, და მიმაჩნია, რომ გაჩუქებული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის უფლება, რომ მამკვიდრებლის ნება, მისი გარდაცვალების შემდგომ უფლებელყოფილ იქნას და სავალდებულო წილში

⁴⁷ ნ. ძნელაძე, „სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში“, ჟურნალი სამართალი, თბილისი 2000, გვ.70.

ჩაითვალოს ის თანხა, რომლითაც გაიზრდება სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი შევა სამკვიდროში. მაშინ, როდესაც მამკვიდრებელი ადგენს ანდერძს, იგი განსაზღვრავს თუ ვის სურს დაუტოვოს საკუთარი შრომის შედეგად დაგროვებული ქონება, იგი წარმართავს მისი საკუთრების ბედს, და თუ ჩვენ ყველაფერს რაც მას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაუჩუქებია სავალდებულო წილში შევიტანთ, შეიძლება ისე მოხდეს რომ ანდერძში მოხსენიებული პირი ყველაფრის გარეშე აღმოჩნდეს.

დაუშვებლად მიმაჩნია ამგვარი ნორმის არსებობა და მით უმეტეს იმ ვადის, რომელიც კანონითაა განსაზღვრული. მიმაჩნია, რომ 10 წელი ძალიან ბევრია და თუ ეს ნორმა არ გაუქმდება ვადა მაინც უნდა შემცირდეს.

მართალია, სავალდებულო წილის ცნება დადგენილია კანონით მემკვიდრეების ინტერესების დასაცავად, თუმცა, ამდენად არ უნდა შევზღუდოთ მამკვიდრებლის ინტერესები და ანდერძის თავისუფლების პრინციპი. როგორც უკვე ამ საკითხზე ვისაუბრე, ვფიქრობ, რომ მისი შეზღუდვა მხოლოდ არასრულწლოვნებისა და შრომისუუნარო პირების ინტერესების დასაცავად უნდა მოხდეს. რაც შეეხება გაჩუქებული ნივთის ღირებულების სამკვიდროში შესვლას, ამით კიდევ ერთხელ არ უნდა შევზღუდოთ მამკვიდრებლის ნება, საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს თავისი ქონება.

მემკვიდრეს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს, შეუძლია, რომ უარი თქვას მის მიღებაზე, მაგრამ ეს არ გამოიწვევს სხვა თანამემკვიდრეების სავალდებულო წილის გაზრდას. სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმა, არ დაიშვება სხვა მემკვიდრეების სასარგებლოდ. იმ მემკვიდრის წილი, რომელიც უარს იტყვის სავალდებულო წილზე, გადადის არა სხვა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირებზე, არამედ ანდერძით გათვალისწინებულ მემკვიდრეებზე.⁴⁸ მემკვიდრის უფლება სავალდებულო წილზე, ზღუდავს ანდერძს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე უარს იტყვის სავალდებულო წილის მიღებაზე, ანდერძი იწყებს მოქმედებას სრული მოცულობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ანდერძით გათვალისწინებული მემკვიდრე

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მხული 1380, პუნქტი 1.

მიიღებს იმ ქონებასაც, რომელზეც სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი იტყვის უარს.

სავალდებულო წილის მიღება ან მის მიღებაზე უარის თქმა უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრულ დროში.⁴⁹

სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. როგორც ტ.დ. ჩეპიგა აღნიშნავს, „მართებულია ლაპარაკი არა იმაზე, რომ სავალდებულო წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე, არამედ იმაზე, რომ ანდერძით მემკვიდრეობა თავისუფლდება შეზღუდვებისაგან“.⁵⁰

ვ.კ. დრონნიკოვი კი ამ საკითხთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ სავალდებულო წილზე უარი დაუშვებელია.⁵¹

უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო წილზე უფლება არის უფლება და არა მოვალეობა, სწორედ ამიტომ, არ შემიძლია დავეთანხმო ვ.კ. დრონნიკოვის მოსაზრებას, რომ მემკვიდრეებს არ უნდა შეეძლოთ სავალდებულო წილზე უარის თქმა. ეს უნდა იყოს მათ სურვილზე დამოკიდებული და არ შეიძლება შეიზღუდნონ, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ ან არ მიიღონ სავალდებულო წილი.

სავალდებულო წილის მიღების უფლება, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს იმ საფუძვლების არსებობისას რომლებიც იწვევენ ზოგადად მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. როდესაც ამ საკითხს განვიხილავდი, შევეხე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლს, სადაც აღვნიშნე, რომ მისი სახელწოდება და შინაარსი შეუსაბამოა და საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს. ასევე, მინდა შევეხო სსკ-ის 1311-ე მუხლის შინაარსს, მიმაჩნია, რომ არსებული მუხლის მეორე წინადადება მოითხოვს გარკვეულ დამატებებს. მოცემული მუხლის მეორე წინადადებიდან გამომდინარე, სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ მშობლის სარჩელი შვილისათვის, მისი

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1380, პუნქტი 2.

⁵⁰ Т.Д. Чепига, Некоторые вопросы наследования обязательной доли, “Вестник серия X”, “Право”, М., 1964, #3, стр.17

⁵¹ В.К. Дронников, Наследственное право УССР, М., 1973, стр.26

რჩენის მოვალეობის ბოროტად თავის არიდების გამო, დაკმაყოფილებული არ იქნება, თუმცა 1381-ე მუხლში ნათქვამია, „სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც იწვევენ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას“. ამ მუხლში არ არის მითითება სავალდებულო მემკვიდრეებზე, სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სსკ-ის 1311-ე მუხლში გაკეთდეს ჩანაწერი სავალდებულო მემკვიდრეებზეც. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნ. ძნელაძე მიიჩნევს, რომ „1311-ე მუხლის მეორე წინადადება შემდეგნაირად უნდა იქნას ფორმულირებული: კანონით მემკვიდრეები (მათ შორის სავალდებულო მემკვიდრეები) ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით“.⁵² აღნიშნული მოსაზრება სწორად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ ნორმაში ამდაგვარი ცვლილების შეტანა და სავალდებულო მემკვიდრეებზე მითითება ბევრად მართებული იქნება.

⁵² ნ. ძნელაძე, „სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში“, ჟურნალი სამართალი, თბილისი 2000, გვ.70.

თავი III. სავალდებულო წილი უცხოურ სამართალში.

სავალდებულო წილის მსგავსი ინსტიტუტი ცნობილია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობებისათვის. მათ შეიძლება ჰქონეთ სხვადასხვა სახელწოდება, პირთა წრე და წილის სხვადასხვა ოდენობა. თუმცა, ამ ინსტიტუტის მიზანი ყველა ქვეყნისათვის ერთია, სამკვიდროს დამტოვებლის ახლობელთა გარანტირებული უზრუნველყოფა სამკვიდროდან განსაზღვრული წილის მიღებით. მას შემდეგ, რაც განვიხილე სავალდებულო წილი ქართული სამართლის მიხედვით, ვფიქრობ, საინტერესო იქნება თუ შევხები სხვა ქვეყნების მემკვიდრეობით სამართალს სავალდებულო წილის ნაწილში.

ინგლისის მემკვიდრეობით სამართალში ანდერძის თავისუფლების პრინციპი სრული მოცულობით მოქმედებს. მემკვიდრეებს აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ ალიმენტის დანიშვნა.

„ინგლისის მემკვიდრეობის სამართლისა და სასამართლო პრაქტიკისათვის უცნობია ისეთი ცნებები, როგორცაა „სათადარიგო მემკვიდრე“ და „სავალდებულო წილი“. ჯერ კიდევ 1938 წლამდე ინგლისში მამკვიდრებელს შეეძლო მთლიანად მოესპო ოჯახისათვის მემკვიდრეობა, თუმცა გარდაცვლილის მეუღლეს, არასრულწლოვან და არაშრომისუნარიან შვილებს უფლება ჰქონდათ „სავალდებულო წილის“ მსგავსად, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვათ ე.წ. გონივრული წილი სამკვიდრო ქონებიდან. 1975 წლიდან კი ისეთივე უფლება მიეცა გარდაცვლილის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომელიც არ იმყოფებოდა ქორწინებაში სხვა პირთან.“⁵³

რომანულ სისტემაში (საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ზოგიერთი სხვა ქვეყანა), უმთავრესად გამოიყენება „რეზერვის სისტემა“. რომლის მიხედვით, მონდერძეს აქვს უფლება, თავისი ქონების განსაზღვრული ნაწილი ანდერძის შედგენისას განკარგოს.⁵⁴

საფრანგეთში „რეზერვის“ ინსტიტუტის არსი იმაში მგომარეობს, რომ მამკვიდრებელს შეუძლია განკარგოს თავისი ქონების ნახევარი თუ მას ერთი

⁵³ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ.130.

⁵⁴ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2009, გვ. 93.

შვილი ჰყავს, მესამედი - თუ მას ორი შვილი ჰყავს, სამი და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში კი ქონების მეოთხედი.⁵⁵

„იტალიური სამართლისათვის, ისევე როგორც ფრანგულისათვის, ცნობილია „რეზერვის“ ინსტიტუტი (riserva). რეზერვზე უფლება გააჩნიათ კანონიერ შვილებს, აღმავალი შტოს ნათესავებს, ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილებს და მეუღლეს. რეზერვის საერთო ღირებულება შეადგენს ქონების ნახევარს იმ შემთხვევაში, როცა მამკვიდრებელი ტოვებს ერთ კანონიერ შვილს, 2/3-ს, როცა ორი ან ორზე მეტი შვილი რჩება. თუ მამკვიდრებელს ჰყავს პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავები ან ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი, მაშინ რეზერვი უდრის 1/3-ს, ხოლო მეუღლისათვის უზრუნველყოფილია უზუფრუქტი სამემკვიდრეო ქონების 2/3-ზე“.⁵⁶

„სავალდებულო წილის მოდელის მსგავსი ინსტიტუტი არსებობს რუსეთსა და გერმანიაში. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სავალდებულო წილის, ანუ სამკვიდრო ქონების წინასწარ „დაჯავშნული“ ნაწილის მიღების უფლება აქვს არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებსა და არასრულწლოვან შვილებს იმ ქონების არანაკლებ ორი მესამედის ოდენობით, რასაც მიიღებდნენ კანონით მემკვიდრეობის დროს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეხუთე განყოფილება, რომელსაც სავალდებულო წილის საკითხებს ეხება, ქართული სამემკვიდრეო სამართლის ნორმების ანალოგიურია“.⁵⁷

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულო წილის უფლება აქვთ დამავალი ხაზის ნათესავებს, მათ მშობლებსა და კანონიერ მეუღლეს, იმ შემთხვევაში, თუკი მათი ინტერესები არ იქნება სათანადოდ დაცული ანდერძით. ამ უფლების რეალიზება კი ხდება ანდერძისმიერი მემკვიდრისადმი წარდგენილი სარჩელით, სავალდებულო წილის ფულადი ეკვივალენტით გადახდის თაობაზე.⁵⁸

⁵⁵ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2009, გვ. 94.

⁵⁶ ნ. ძნელაძე, „სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში“, ჟურნალი სამართალი, თბილისი 2000, გვ. 72.

⁵⁷ რ. და ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2009, გვ.94.

⁵⁸ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2000, გვ.131.

როგორც ვხედავთ, გერმანიის კანონმდებლობა მაინც განსხვავდება საქართველოს კანონმდებლობისგან, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კანონმდებლობით, სავალდებულო მემკვიდრე არის სრულუფლებიანი მემკვიდრე, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იგი მიჩნეულია არა როგორც გარდაცვლილის მემკვიდრე, არამედ როგორც ერთ-ერთი კრედიტორი, რომელსაც გააჩნია უფლება, ანდერძისმიერი მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს განსაზღვრული თანხის გადახდა. სავალდებულო წილის მიღება გერმანიის კანონმდებლობით, დამოკიდებულია სასამართლოზე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიის კანონმდებლობა, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრის აღნიშვნისას, მიუთითებს დამავალი ხაზის ნათესავებს, რომლების შეიძლება იყვნენ გარდაცვლილის შვილები, შვილიშვილები და ა.შ. მაშინ როდესაც, საქართველოს კანონმდებლობის თანხმად, ასეთებად მოიაზრებიან მხოლოდ გარდაცვლილის შვილები.

საინტერესოა, თუ როგორ რეგულირდება სავალდებულო წილთან დაკავშირებული საკითხები, ამერიკის კანონმდებლობით. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დამახასიათებელია ანდერძის თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა მხოლოდ ცოცხალი მეუღლის ინტერესების დაცვისათვის.⁵⁹

„საერთოდ, პირს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება და ნებისმიერი პირი დანიშნოს თავის მემკვიდრედ, მაგრამ არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა“.⁶⁰

„მრავალი შტატის კანონმდებლობის თანახმად (აიოვა, კანზასი, ნიუ-იორკსა და სხვა შტატებში), მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს მემკვიდრეობის სახე (კანონისმიერი ან ანდერძისმიერი), რაც საშუალებას მისცემს მას, თავი აარიდოს მისთვის ანდერძით გათვალისწინებულ არასასურველ პირობებს და ინგლისის კანონმდებლობის მსგავსად, მიიღოს „გონივრული წილი“ მამკვიდრებლის ქონებიდან“.⁶¹ წილის

⁵⁹ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2000, გვ.131.

⁶⁰ The American Bar Association, Family Legal Guide, 1994, p.661.

⁶¹ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ.131.

ოდენობა ყველა შტატში არის სხვადასხვა და ძირითადად დამოკიდებულია დამავალი ხაზის მემკვიდრეთა რაოდენობაზე.

თურქეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „სამკვიდროს სავალდებულო წილები ერგება შემდეგ მემკვიდრეებს: - ბავშვებს ერგება კანონიერი წილის ნახევარი. - მშობლებს ერგება კანონიერი წილის მეოთხედი. - ცოცხლად დარჩენილი მეუღლის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე. თუ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა არჩინოს გარდაცვლილის შვილები ან მშობლები, ის მიიღებს კანონიერ წილს სრულად, სხვა შემთხვევაში სამ მეოთხედს“.⁶²

როგორც ვხედავთ, თურქეთის მემკვიდრეობით სამართალში, სავალდებულო მემკვიდრეთა წრე მსგავსია საქართველოს კანონმდებლობისა, თუმცა, ყველა კანონით მემკვიდრეზე სხვადასხვა წილია გათვალისწინებული სავალდებულო მასიდან.

საბერძნეთში სავალდებულო წილთან დაკავშირებული დებულებანი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 1825-1838 მუხლებში.

„საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვა საკუთარი ნების თანახმად წარმოადგენს პიროვნების განვითარების თავისუფლების ნაწილს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. ეს გაწერილია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც აწესებს ასევე რამოდენიმე შეზღუდვას, რათა დაცული იქნას უახლოესი ნათესავების უფლებები, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს წარმოადგენენ. ეს შეზღუდვები შემოყვანილია კანონიერი წილის ცნების სახით, რომელიც წარმოადგენს უახლოვესი ნათესავებისადმი განკუთვნილი ქონების ნაწილს, გარდაცვლილის ნების მიუხედავად.

თუკი “de cuius” (მამკვიდრებლის) შთამომავალი, მეუღლე, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი (სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში Pacs) და მშობლები არ ფიგურირებენ სამკვიდროს გადასვლაში, გარდაცვალებასთან

⁶² თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 3.
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/turketi.pdf

დაკავშირებული აქტების მიხედვით (“mortis causa”), მათ აქვთ უფლება სავალდებულო წილზე (მუხლი 1825, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 1825 მუხლის სათაური „სავალდებულო წილი“ გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილის შთამომავლებს, მის დედ-მამას, ისევე როგორც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომლებიც “ab intestat” სამკვიდროს მემკვიდრეებად იქნებოდნენ დასახელებული, აქვთ უფლება სამკვიდროს კანონიერ სავალდებულო წილზე. იგივე უფლება გააჩნია როგორც ცოცხლად დარჩენილ პარტნიორს, სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში (Pacs) (მუხლი 11, პ. 2, კანონი 3719/2008). კანონიერი წილი წარმოადგენს “ab intestat” სამკვიდრო ნაწილის ნახევარს. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილზე ნაკლებს, მას აქვს უფლება განსხვავებაზე (მუხლი 1827, სამოქალაქო კოდექსი).

სამკვიდროს გადასვლის მომენტში სავალდებულო წილით მემკვიდრე ცოცხალი ან თუნდაც ჩასახული უნდა იყოს.

სავალდებულო წილით მემკვიდრის მინიმალური უფლება მაშინვე აღიქმება როგორც, გარდაცვლილის მატერიალურ ქონებაში მონაწილეობა. კანონიერი სავალდებულო წილის დასაანგარიშებლად, ათვლის წერტილად იღებენ სამკვიდროს მდგომარეობას და ღირებულებას „de cuius” გარდაცვალების მომენტში, მას შემდეგ რაც გამოიქვითა ვალები და დაკრძალვისა და საინვენტარიზაციო ხარჯები (მუხლი 1831, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება შთამომავალს, თუკი მან:

- საფრთხე შეუქმნა მეანდერძის, მისი მეუღლის ან მეანდერძის სხვა შთამომავალის სიცოცხლეს.
- შეგნებულად დამნაშავეა უდიერ ფიზიკურ მოპყრობში მეანდერძის ან მისი მეუღლის (მისი მშობლის) მიმართ.
- შეგნებულად დამნაშავეა სასხლის სამართლის დანაშაულსა ან სერიოზულ დარღვევაში მეანდერძის თუ მისი მეუღლის წინააღმდეგ.

- განზრახ არ შეასრულა მისი კანონიერი საალიმენტო ვალდებულება მეანადერძის წინაშე.
- ან ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას მეანადერძის ნების მიუხედავად. უკანასკნელი მოტივით სამკვიდრო უფლების ჩამორთმევა ბათილია, თუკი შთამომავალი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის საბოლოოდ აღარ ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას (მუხლი 1840, სამოქალაქო კოდექსი).

მეანადერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება საკუთარ დედ-მამას იგივე მოტივებით, გარდა უკანასკნელისა. შესაძლებელია ასევე სამკვიდრო უფლება ჩამოერთვას მეუღლეს, თუკი ეს უკანასკნელი ბრალეულია რაიმე დანაშაულში, რის გამოც მეანადერძეს მის გარდაცვალების პერიოდში შეეძლო წამოეწყო განქორწინების პროცესი.

საკუთარი უფლებები (მაგალითად ანდერძით დასახელებული მემკვიდრეების წინაშე და ა.შ.) და ვადები დაცული უნდა იქნას. მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს პირს, რომელიც სამკვიდრო უფლებით განკარგავს (რომლის ხელთ არის) სამკვიდროს კუთვნილ ნივთებს (სამკვიდროს მფლობელი), რომ მან აღიაროს მისი სამკვიდრო უფლება და დააბრუნოს სამკვიდრო ან მისი რომელიმე ნივთი (*petition d'hérédité*, სამკვიდრო პეტიცია, მუხლი 1871, სამოქალაქო კოდექსი).

ამ პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა 20 წელიწადია (მუხლი 249, სამოქალაქო კოდექსი).

ასევე, სამოქალაქო კოდექსის 1826, 1827 და 1829 მუხლების თანახმად, თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს კანონიერად ჩამოერთვა სამკვიდრო უფლება, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ან თუ მან უარი განაცხადა კანონიერ სავალდებულო წილზე, ან მას ჩამოერთვა ეს უფლება უღირსი საქციელის გამო, კანონიერი სავალდებულო წილის უფლება გადადის კანონიერი სავალდებულო წილით მემკვიდრეებზე, “*ab intestat*“ მემკვიდრეობითი რიგითობის მიხედვით. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს გადაეცა კანონიერ სავალდებულო წილზე ნაკლები ნაწილი, მას უფლება აქვს ამ დაკლებულ ნაწილზე. ანდერძიდან

გამომდინარე ნებისმიერი შეზღუდვა, სავალდებულო წილით მემკვიდრის საზიანოდ არ არის მოქმედი, რამეთუ აზარალებს სავალდებულო წილს.

სავალდებულო წილით მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. სავალდებულო წილს კარგად იცავს კანონმდებელი, რომელიც თვლის, რომ გარდაცვლილის სიცოცხლეში განხორციელებული ჩუქება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამკვიდროს გადაანგარიშებაში, გაუქმებულ უნდა იქნას, ვინაიდან „de cuius” გარდაცვალების პერიოდში არსებული სამკვიდრო არ არის საკმარისი სავალდებულო წილის დასაფარად. თანმიმდევრული ჩუქების შემთხვევაში, მიმართავენ წინა ჩუქებას, როდესაც შემდგომი ჩუქების გაუქმება არ არის საკმარისი (მუხლი 1835, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძნულ სამართალში სავალდებულო წილი წარმოადგენს სამკვიდროში რეალურ (პირდაპირ) მონაწილეობას. მემკვიდრე, რომელსაც გააჩნია უფლება სავალდებულო წილზე არის თანამემკვიდრე კანონის ძალით. სავალდებულო წილის ნებისმიერი შეზღუდვა გამომდინარე გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტიდან (“mortis causa” დებულებიდან), (disposition de cause de mort) ბათილია (მუხლი 1829, სამოქალაქო კოდექსი).

შესაძლებელია სავალდებულო წილი ანაზღაურდეს სიცოცხლის პერიოდში ჩუქებიდან (მუხლი 1833, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძენი „de cuius” , რომელიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდა, არ ექვემდებარება ბერძნული დებულებების შეზღუდვებს სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ. 1738/1978 კანონის 21 მუხლის თანახმად, საბერძნეთის მოქალაქეები, რომლებიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდნენ სიკვდილამდე, არ ექვემდებარებიან ბერძნული კანონის დებულებებს სავალდებულო წილის და სავალდებულო 10 წილით მემკვიდრეების შესახებ, რაც შეეხება (“mortis causa” დებულებას) მათ უკანასკნელი ნების გამომხატელ აქტებს “mortis causa” დებულებას (disposition de cause de mort) უცხოეთში მდებარე ქონების თაობაზე. თუ ეს უკანასკნელი პირობა სახეზეა, შეუსაბამობა სავალდებულო წილისა და სავალდებულო წილით მემკვიდრეების

შესახებ დებულებებთან არ მოქმედებს ანდერძების და (“mortis causa” დებულების) გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სხვა აქტების ნამდვილობაზე, უცხოეთში მდებარე ქონების ჭრილში.

ზოგადად, სამკვიდროზე ნაადრევი უარის თქმა და სავალდებულო წილზე ნაადრევი უარის თქმა მიუღებელია. მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების წყვილის (ან პარტნიორების) შემთხვევაში უცხოელ მეუღლეს (თუ ის უცხოეთში ცხოვრობს კონტრაქტის შედგენისას) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ, უსასყიდლოდ ან გადახდის მეშვეობით უარი თქვას მემკვიდრეობაზე, რომელიც მას ეკუთვნის ბერძნული კანონმდებლობის თანახმად (მუხლი 1, ბრძანებულება 472/1974 – „ონასისი კანონი“ “Loi Onassis”).⁶³

როგორც უცხო ქვეყნების კანონმდებლობებიდან ვნახეთ, სავალდებულო წილის ინსტიტუტის ცნება მემკვიდრეობითი სამართლის აუცილებელი ელემენტია, თუმცა ყველა ქვეყანას თავისებური მიდგომა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით.

⁶³ საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. გვ. 7.
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო წილთან დაკავშირებული საკითხები არის შესწავლილი მაგრამ არსებობს გარკვეული პრობლემური საკითხები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით საჭიროებენ ცვლილებებს.

როგორც ვხედავთ, სავალდებულო წილის ინსტიტუტის არსებობა გარკვეულ გავლენას ახდენს ანდერძის თავისუფლების პრინციპზე. მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს სავალდებულო წილზე უფლება, მამკვიდრებლის უფლება - საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს მის საკუთრებაში არსებული ქონება იზღუდება. ეს ყველაფერი კი მემკვიდრეების უფლებების დასაცავად ხდება. მაგრამ, როგორც უკვე ნაშრომის ძირითადი ნაწილის განხილვისას აღვნიშნე, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები. უნდა შევეცადოთ, რომ თანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენოთ როგორც მემკვიდრე, ისე მამკვიდრებელი. მართებულად მიმაჩნია, შემცირდეს იმ პირთა წრე, რომელთაც ექნებათ უფლება სავალდებულო წილზე. კერძოდ, სავალდებულო წილზე უფლება, ჩემი აზრით, უნდა გააჩნდეთ მხოლოდ მამკვიდრებლის არასრულწლოვან შვილებს, ან შრომისუუნარო მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს, როგორც ეს იყო ძველი კანონმდებლობით.

ნაშრომში ვისაუბრე იმაზე, თუ მემკვიდრეობის რომელ სახეს განეკუთვნება სავალდებულო წილის ინსტიტუტი. არის ეს ანდერძით მემკვიდრეობის წმინდა ფორმა თუ კანონით მემკვიდრეობის სახეა?! და გამოვყავი ის საკითხები, რატომ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ იგი ერთის ან მეორეს ფორმად.

როგორც უკვე აღვნიშნე, მამკვიდრებელს სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან დაკავშირებით კანონისმიერი სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით შეუძლია, ხოლო მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლო ჩარევას არ საჭიროებს, მამკვიდრებელს შეუძლია, კანონით მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას ანდერძის საფუძველზე, ხოლო ანდერძით მემკვიდრის შემთხვევაში, შეიტანოს ანდერძში შესაბამისი ცვლილებები.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა, არ ნიშნავს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. სასამართლოს წესით სავალდებულო წილზე უფლების ჩამორთმევა, უცვლელად ტოვებს პირის უფლებას მემკვიდრეობაზე. მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის მიღების უფლების ჩამორთმევა მხოლოდ ანდერძის შეცვლის გზით.

უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა ემყარება განსხვავებულ წესებს და ისინი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. შესაძლებელია, ცალკეული მუხლები ანალოგიით გამოვიყენოთ, თუმცა, მკაცრად უნდა განვსაზღვროთ ნორმის მიზანი და სამართლებრივი შედეგები.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული, თუ როგორ ხდება სავალდებულო წილის მოცულობის გამოთვლა. ასევე შევხებ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის გაკეთებულ დათქმასთან დაკავშირებულ საკითხს. კერძოდ, დათქმას იმის შესახებ, მამკვიდრებლის სიცოცლემში მემკვიდრისათვის გადაცემული ესა თუ ის ქონება უნდა ჩაითალოს სავალდებულო წილში თუ არა. ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ კანონმდებელი არ განსაზღვრავს, მითითება ასეთი ქონების სავალდებულო წილში ჩათვლა/არ ჩათვლის შესახებ უნდა მოხდეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით და მიმაჩნია, რომ მსგავსი დათქმა უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით, რომელიც დადასტურდება ნოტარიულად. ამის შესახებ კი საჭიროდ მიმაჩნია სამოქალაქო კოდექსში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

ნაშრომში განხილულია საკითხი, სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. მემკვიდრეს უფლება აქვს, უარი თქვას იმ წილზე, რომელიც მას ერგებოდა სავალდებულო წილის არსებობის დროს. თუმცა ასეთი უარი არ გამოიწვევს სხვა სავალდებულო მემკვიდრეების წილის ზრდას. ასეთი მემკვიდრის წილი გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეებს შორის თანაბრად. როგორც უკვე ნაშრომის ძირითად ნაწილში ამ საკითხის განხილვისას აღვნიშნე, არსებობს სხვადასხვა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, მემკვიდრეს უნდა ჰქონდეს თუ არა სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმის უფლება. კიდევ

ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს არის პირის უფლება და არა ვალდებულება, სწორედ ამიტომ, მემკვიდრეს საკუთარი სურვილის შესაბამისად, შეუძლია მიიღოს ან უარი თქვას სავალდებულო წილზე.

ნაშრომში ასევე ვიმსჯელებ ნორმებზე, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან ან პირიქით, ერთი შინაარსის რამოდენიმე მუხლი არსებობს. ასევე განვიხილავ ნორმები, რომლის სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთის შეუსაბამოა და საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი, მართალია, აწესრიგებს სავალდებულო წილთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, იგი არ არის სრულყოფილი. არსებობს საკითხები, რომლების საჭიროებენ გარკვეულ ცვლილებებსა თუ დამატებებს. ასევე, არსებობს სამართლებრივი საკითხები, რომლებიც გარკვეულ სახეცვლილებას განიცდიან მაშინ, როდესაც ჩნდება სავალდებულო წილის ინსტიტუტი. ნაშრომში გამოვყავი ყველა ის საკითხი, რომელიც სავალდებულო წილთან დაკავშირებით პრობლემურად მივიჩნევ და განვიხილავ მათი აღმოფხვრის ჩემეული გზები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი.
4. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბილისი 1996.
5. ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი 1997.
6. თ. გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება(ცალკეული მუხლების ფონზე)
7. ლ. ჭანტურია, „უმრავი ნივთების საკუთრება“, თბილისი 1994
8. ო. იოფე; გ. ნადარეიშვილი; „რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“, თბილისი 1994.
9. რ. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი.
10. რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი 2011.
11. შ. ჩიკაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი 1999, 2000.
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V.
13. დ. ხვედელიანი, მემკვიდრეობის სამართლის პრობლემები საერთაშორისო კერძო სამართალში,სადისერტაციო ნაშრომი.
14. ზ. ახვლედიანი,ანდერძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახლი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა“. თბილისი 1998.
15. ლ. კოხრეიძე; „მართლმსაჯულება და კანონი“,სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები.
16. მ. კობიაშვილი, მემკვიდრეობა -პუბლიკაცია
17. ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა“. თბილისი 1998.
18. ნ. ძნელაძე, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, ჟურნალი „სამართალი“ N 6-7, თბილისი 2000.

უცხო ენოვანი ლიტერატურა:

1. The American Bar Association, Family Legal Guide, 1994
2. В.К. Дронников, Наследственное право УССР, М., 1973
3. Д.В.Дождев, Римское частное право, М., 1996.
4. Т.Д. Чепига, Некоторые вопросы наследования обязательной доли, “Вестник серия X”, “Право”, М., 1964, #3.

ინტერნეტ რესურსები:

1. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება.
2. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf
3. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება.
4. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
5. სასამართლო გადაწყვეტილება:
6. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201111.pdf>
7. <https://elawjournal.wordpress.com/tag/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%98/?fbclid=IwAR0gJgQeEdoYKo9BT LIzndJplCqaqXstpa4Hi14Vhp7QI55hqmPvxScb2yk>
8. <file:///C:/Users/user/Desktop/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>
9. <http://myl.ge/img/original/2015/11/9/264674472.pdf>

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:

- ა.შ. - ასე შემდეგ
- გვ. - გვერდი
- ე. წ. - ეგრეთ წოდებული
- ე.ი. - ესე იგი
- იხ. - იხილეთ
- მაგ. - მაგალითად
- სხვ. - სხვა
- სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ნემსაძე

2019 წელი